პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კომუნისტი

[illegible]
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

13 იანვარი
პარასკევი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4 რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დღ. [illegible]
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476 მდივნის № 16 საერთო №

№ 10 პარასკევი, 13 იანვარი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 13 იანვარი 1922 წ. № 10

მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.

ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხ-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

დროებით ხელის მოწერა და განცხადებების მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, № 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

დღეს, 13 იანვარს საღამოს 5 საათზე პროფ-საბჭოს მცირე დარბაზში შესდგება

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკების საერთო

კრება

დღის წეს-რიგი:

საინსტრუქციო მოხსენება სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის და საბჭოების მე-9 ყრილობის შესახებ.

მოწვეულნი არიან: წევრები კომპარტიის ცეკასი თბილისის კომიტეტის, საქართველოს რევკომის, აღმასრულებელ კომიტეტის, სახალხო კომისრები, სახალხო კომისარიატების კოლეგიის წევრები, რაიკომის წევრები, რაიკომის ორგანიზატორები, პროფსაბჭოს ფრაქციის ბიურო, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის წევრები და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის რაიკომების მდივნები.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

შაბათს 14 იანვარს საღამოს 6 საათზე ყოფილ ქალაქის რევკომის შენობაში შესდგება

თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა.

დღის წესრიგი;

1. პრეზიდიუმის განცხადება.
2. სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება.
3. ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება.
4. მიმდინარე საქმეები.

თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

წითელი არმიისათვის

მოწოდება:

საქართველოს მშრომელთადმი

საქართველოს გლეხებო და მუშებო! საუკუნოები გაატარეთ თქვენ თავად-აზნაურობის მონობაში და ყმობაში. თქვენ შრომობდით და მთელი ნაყოფი თქვენი ნაშრომისა მიჰქონდა მემამულეს— მიწის პატრონს. სხვისთვის აკეთებდით ქადებსა და თეთრ-პურს—თქვენთვის ქერისა და სიმინდის მჭადიც არ მოგეძევებოდათ. ასეთ მონობისაგან თქვენ დაგიხსნათ საბჭოთა ხელის-უფლებამ. მემამულეებს, მუქთა მჭამელ თავად-აზნაურობას, ჩამოართვა თქვენი ოფლით გაპოხიერებული მიწები და მოგცათ თქვენ მშრომლებს.

საბჭოთა ხელის-უფლებამ პირველმა მთელ ქვეყანაზე გადასჭრა ლოზუნგი: „მიწა მიწის მუშებს“, „ვინც არ შრომობს ნურც სჭამსო“—და რაც კი მოეძევებოდა მენშევიკებისაგან განადგურებულ საქართველოში, გლეხებსა და მუშებს მიაკუთვნა.

რა არის საბჭოთა ხელის უფლება? ეს არის მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი მთავრობა, ეს არის გლეხებისაგან ამორჩეული და დანიშნული მისივე პატიოსანი შვილები—ეს არის მუშურ-გლეხური რევოლიუციონური კომიტეტები. გლეხის გაჭირვება, გლეხის გულის ტკივილები გლეხებმა უკეთ იციან. გლეხის ტანჯვისაგან ხსნა შეუძლიან მხოლოდ გლეხებისაგან და მუშებისაგან შემდგარ მთავრობას. მაგრამ გუშინდელ მემამულეებს და მსხვილ ვაჭარ მრეწველებს არ სძინავთ. ძველი ღენერლები, ბოქაულები და თქვენი ოფლით აღზრდილ გამოკვებული თავად-აზნაურობა თქვენ გათანასწორებას დიდხანს ვერ მოითმენენ და ეცდებიან ისევ დაიბრუნონ თავისი მამულები და ჩინ ტემლაკები, როგორც კი ნახავენ გლეხების სისუსტეს. გლეხების თავისუფლებას და მუშურ-გლეხურ მთავრობის განმტკიცებას ესაჭიროება მუდმივი მცველი, ბურჯი. ეს მცველი არის წითელი არმია.

წითელი არმია არის გლეხურ-მუშური არმია, გამოზრდილი წითელ რევოლიუციის ქარცეცხლში; მუშათა და გლეხთა სისხლით მოპოვებულ წითელი დროშის ქვეშ, მედგრად მებრძოლი წითელი არმია არის ნამდვილი მუშურ გლეხური არმია. ძველი მეფისა და მენშევიკების არმიისაგან წითელი არმია განსხვავდება მით, რომ ძველი არმია თავადების და მემამულეების მეთაურობით იმონებდა, არბევდა და ანადგურებდა გლეხებს. თუ სადმე გაბედავდნენ მებატონის წინააღმდეგ სამართლიანად ხმის ამოღებას, იქ გაჩნდებოდნენ ძველი ოფიცრები და თავადები თავისი შავი არმიით და ისეც დატყავებულ გლეხებს, სრულიად ტყავს აძრობდნენ. ვის არ ახსოვს ცხრაას ხუთი წლის რევოლიუცია? ვის არ ახსოვს თუ როგორ ჩამოიყვანეს მაშინ ქართველმა თავადებმა მაშინდელი შავი ჯარი და როგორ აწამეს საქართველოს გლეხობა.

მოიგონეთ მენშევიკების გვარდია და ჯარი, რომლებიც თითონ პაგონებიან ოფიცრების მეთაურობით ანადგურებდნენ გლეხებს: რაჭა-ლეჩხუმში, თიანეთში, (სამხრის რაიონში), სამეგრელოში, ქართლში და გურიაში; რისთვის? იმისთვის, რომ გლეხებმა ამ ადგილებში მიწა მოითხოვეს და, როდესაც მენშევიკების მთავრობამ არ მისცა, თვითონ წაართვეს მემამულეებს. მენშევიკებმა თავისი გვარდია გამოგზავნეს და საუკეთესო რევოლიუციონური გლეხობა თავისავე სოფლებში დახვრიტეს. გაცარცვეს გლეხობა და რის განადგურება—[illegible] ვერ მოახერხეს, ის თან გაიტაცეს.

საქართველოს მშრომელმა—გლეხობამ და მუშებმა შემუსრა მენშევიკური მთავრობა და მართვა-გამგეობა თავის ხელში აიღო, მაგრამ ამას დაცვა უნდა და ამ მუშურ-გლეხური წესწყობილების დასაცავად საჭიროა წითელი არმია. მენშევიკების გვარდია—შავი გვარდია, იცავდა თავადებს, მემამულეებს— ჩვენმა წითელმა არმიამ უნდა დაიცვას გლეხები და მათი მიწები. მენშევიკების გვარდიას სათავეში უდგა თავადებისა და მსხვილი ვაჭრების შვილები: თეთრ-პაგონიანი ოფიცრები,—წითელ არმიას თავში უდგას თქვენი მუშა-გლეხების საუკეთესო შვილები, რომლებიც სულ მუდამ თქვენთან იყვნენ და არ უკრთებოდნენ არც ციხეს, არც სახრჩობელას მშრომლების დაცვისათვის.

მენშევიკების გვარდია იცავდა თავადების ბატონობას და გლეხების მონობას—წითელი არმია იცავს გლეხების თავისუფლებას და მუქთა-მჭამლებს ლაგამს ადებს.

წითელი არმია არის მუშურ გლეხური, საბჭოთა ხელისუფლების ბურჯი. წითელი არმია არის მუშა-გლეხთა თავისუფლების დარაჯი.

ვისთვისაც ძვირფასია მშრომელთა თავისუფლება, ის ვალდებულია ხელი შეუწყოს საქართველოს წითელ არმიის შექმნას და გაძლიერებას.

ვისაც ბედი არგუნებს მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვას წითელი არმიის რიგებში, მან აღფრთოვანებით უნდა მიიღოს ეს წმინდა ვალდებულობა. „უნდა შევქმნათ ქართული წითელი არმია“—ეს სთქვა პირველ სხდომაზე თბილისის მუშათა საბჭომ და ამას უნდა ანხორციელებდეს ყოველი ქართველი მუშა და გლეხი. თქვენი მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა ღრმად დარწმუნებულია, რომ მის მოწოდებას თქვენ შეხვდებით შეგნებულად და მხურვალე თანაგრძნობით.

მაშ, გაგზავნეთ თქვენი ინტერესების დამცველ წითელი არმიაში თქვენი შვილები.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას, ერთგულ დარაჯს მუშათა და გლეხთა თავისუფლებისას!

გაუმარჯოს მშრომელებს!

პოლიტიკური სამდივნო ს. ს. ს. რ. სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისა.

წითელი ლაშქარი—ეს შეიარაღებული ძალაა მშრომელთა ძალაუფლების განსამტკიცებლათ.

„შექმნა, საქართველოს წითელ ლაშქრისა“ ეს არის მტკიცე სურვილი რევოლიუციონური საბჭოთა საქართველოს მუშების და გლეხების.

სალამი საქართველოს წითელ ლაშქრის ახალგაზრდა რიგებს

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილებით გამოცხადებულია 1900 წელს დაბადებულთა ჯარში გაწვევა. საქართველოს წითელ ლაშქარს შეემატება ახალი ცოცხალი ძალები.

რევოლიუციონური კომიტეტის ეს მრავალმნიშვნელოვანი აქტი ერთხელ კიდევ მრისხანე ლახვარს სცემს ჩვენი მტრების—მენშევიკებისა და ყველა ჯურის შოვინისტების ცილისწამებასა და პროვოკაციას, რომელიც საოცარი გატაცებით ვრცელდება ყველა გზაჯვარედინზე, რომ თითქოს კომუნისტებმა მოსპეს და ფეხქვეშ გასთელეს ეროვნული უფლებანი, რომ ყველა დაწესებულებებიდან გააძევეს ქართული ენა და დამალეს საქართველოს წითელი ლაშქარი.

სიცრუე და პროვოკაცია ხავსია წყალში ჩავარდნილი მენშევიზმისათვის. მაგრამ საქართველოს მშრომელი ხალხი ყურს არ უგდებს დედაბრების პირაქნობას; იგი მტკიცე და შეგნებულად მისდევს მსოფლიო რევოლიუციის ბელადის ამხ. ლენინის ისტორიულ აღთქმას და თავის მოძმე რესპუბლიკებთან ერთად შეურყევლად ზრუნავს წითელი არმიის გაფოლადებული რიგების კიდევ მეტი გამაგრებისა და შეკავშირებისათვის; იგი ჯარში ეძახის მუშა გლეხთა ახალგაზრდობის ნორჩ ძალებს თავისი უფროსი, ბრძოლაში გამოცდილი ამხანაგების ნაცვლად.

ჩვენ ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ მსოფლიოს ბედიღბალი ჯერჯერობით ხელში უჭირავს იმ ხალხს, რომელსაც არ ესმის ჩვენი იდეების ენა; მათთვის ჩვენ უნდა გვქონდეს ძლიერების და იარაღის ენა; ამ ენაზე უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ მაშინ, როდესაც მტერი განიზრახავს ჩვენს აფეთქებას და თავზე დასხმას. მარტო ამ ენაზე შეგვიძლია გავაცნოთ ჩვენი თავი მტერს, სხვა ენა მისთვის გაუგებარია.

მაშასადამე დღეს, ხვალ, ზეგ, ასი და ათასი საუკეთესო, ჯანსაღი, ნორჩი ძალა შეემატება საქართველოს წითელ ლაშქარს. ხოლო ჩვენი პოლიტიკური ორგანოების საპატიო მოვალეობას შეადგენს შეხვდეს და მიიღოს ჩვენი მუშებისა და გლეხის შვილები თბილათ და ხალისით, შეიტანოს მათ წრეში ნათელი სხივი, რათა თვითეულმა პირველ დღიდანვე შეიგნოს თავისი მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი საბჭოთა ხელისუფლებასთან, შეიგნოს როგორც თავისი იდეიური უპირატესობა, აგრეთვე ის განსხვავება, რომელიც არსებობს წითელი ლაშქრის და ძველი არმიისა, ან საერთოდ თანამედროვე ბურჟუაზიული—კაპიტალისტური ქვეყნების არმიის შორის.

როგორც ამბობდა წითელი არმიის ბელადი ამხ. ტროცკი მე-9 ყრილობაზე, წითელი ლაშქრის განმტკიცების საქმეში ჩვენი მიზანია „სწორი ურთიერთობის დამყარება ერთის მხრით ხელმძღვანელი უფროსებისა და კომისართა აპარატის „კომისჩეიკას“, და მეორეს მხრით უპარტიო მოლაშქრე ახალგაზრდობის შორის. საჭიროა ახლო მისვლა ამ ახალგაზრდობასთან, საჭიროა მისი ენის შესწავლა და ენერგიული დახმარება, რათა მან გაიგოს და შეითვისოს წითელი არმიის რაობა“.

და მხოლოდ ასეთ ნიადაგზე გაწვრთნილი არმია [illegible] თავისი მოძღვრების რევოლიუციონური შეგნებით და თავისი იდეიური ძლიერების ღრმა რწმენით გაამართლებს საბჭოთა მე-9 ყრილობის ტრიბუნიდან საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლის მიერ წარმოთქმულ მაღალ ფიცს და გადამწყვეტ წუთებში გაბედულით, თავ-განწირვით დაიძვრის მტრის წინააღმდეგ, თუ კი ამ მტერმა არ მოგვასვენა და არ დაგვანება მშვიდობიანი მუშაობა ქვეყნის აღორძინებლათ.

დ. ბზიავა.

დეზერტირის დამფარველი—უდიდესი მტერია მუშათა და გლეხთა ძალა-უფლებისა.

დეზერტირთა დამფარველი—აშკარა მომხრეა შავი რეაქციისა.

ახალი ხანის დასაწყისი

საბჭოთა რუსეთი ოფიციალურად მოწვეულია გენუას კონფერენციაზე

მოსკოვი, 12 იანვარი (რადიო). ინგლისის და იტალიის მთავრობები იწვევენ კონფერენციაზე ამხ. ლენინს. საგარეო საქმეთა კომისარიატის მიერ მიღებულია 7 იანვრის თარიღით რომში მყოფ რუსეთის სავაჭრო დელეგაციისაგან სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლენინის და საგარეო საქმეთა კომისრის ამხ ჩიჩერინის სახელზე შემდეგი დეპეშა: „გიგზავნით იტალიის მთავრობის მემორანდუმის ტექსტს, რომელიც მივიღეთ დღეს საღამოს: „ამ დღეებში უმაღლეს საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილების გამო იტალია მარტში იწვევს ეკონომიურ-ფინანსიურ კონფერენციას, სადაც მიიღებენ მონაწილეობას ევროპის ყველა სახელმწიფოები. იტალიის მთავრობა ეთანხმება დიდ ბრიტანეთის მთავრობას და ფიქრობს, რომ ლენინის პირადი მონაწილეობა ამ კონფერენციაზე შესამჩნევად შეამსუბუქებდა ევროპის ეკონომიური წონასწორობის საკითხის გადაწყვეტას. მეფის საგარეო საქმეთა სამინისტრო სთხოვს რუსეთის სავაჭრო დელეგაციას დაუყონებლივ აცნობოს მოსკოვს მეფის მთავრობის სურვილი, რომ ლენინმა უთუოდ მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე. საჭიროა პასუხის გადმოცემა მომავალ ორშაბათისათვის“. ხელს აწერს სტრაუინი.

ჩვენი პასუხი

საბჭოთა რუსეთი იღებს წინადადებას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ

მოსკოვი, 12 იანვარი (რადიო). საგარეო საქმეთა კომისარმა გაუგზავნა 8 იანვარს უმაღლეს საბჭოს შემდეგი საპასუხო დეპეშა:

1) რუსეთის მთავრობა კმაყოფილებით იღებს მოწვევას ევროპის კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება მარტში.

რუსეთის დელეგაციის არჩევას წინ წაუძღვება სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია, რომელიც აღჭურავს დელეგაციას მეტად ფართო უფლებებით იმ შემთხვევაშიდაც თუ სახალხო კომისართა თავმჯდომარე ლენინი საქმეებისაგან დატვირთვის გამო და განსაკუთრებით შიმშილობასთან დაკავშირებით იძულებული იქნება დარჩეს რუსეთში, ამის მიუხედავად დელეგაციის შემადგენლობას ისე როგორც მაზე დაკისრებულ რწმუნებებს ექნება ისეთივე ავტორიტეტი, როგორიც მას ექნებოდა იმ შემთხვევაში, რომ იქ ლენინს მიეღო მონაწილეობა. ამ ნაირად არავითარ შემთხვევაში რუსეთის მხრივ კონფერენციის ჩქარა მუშაობას არ შეხვდება რაიმე დაბრკოლება“.

2) რეიტერის სააგენტოს ცნობით უმაღლესმა საბჭომ ამორჩია ევროპის კონფერენციისათვის გენუა. რუსეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ის მოშორებითაა და მოკლებულია საკმაო საშუალებებს რუსეთთან ურთიერთობის დასაჭერად თავის მხრივ ის წინადადებას იძლევა კონფერენცია მოეწყოს ლონდონში“. ჩიჩერინი.

ინგლისის მუშები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთის დაუყონებლივ ცნობას

მოსკოვი, 12 იანვარი (რადიო). ლონდონიდან 7 იანვრის თარიღით იტყობინებიან, რომ ლოიდ ჯორჯს გაუგზავნეს მუშათა პარტიის გამოჩენილ წევრებს და ტრედიუნიონების ლიდერების ხელმოწერილი შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ინგლისის 8 მილიონი შეკავშირებული მუშა სცნობს რა, თუ რამდენად დაკავშირებულია ბრიტანეთის ვაჭრობის დაშლა საშიშ უმუშევრობის ზრდასთან და რუსეთის გამოთიშვასთან კულტურულ ხალხთა ოჯახიდან, ენერგიულად მხარს უჭერს ინგლისის მიერ რუსეთის მთავრობის სრულ პოლიტიკურ ცნობას, თუ შესაძლებელია დანარჩენ მოკავშირეებთან ერთად, თუ არა და სეპარატიულად მაინც“.

ლოიდ ჯორჯი საბჭოთა რუსეთის ცნობას სთვლის აუცილებლად

მოსკოვი, 12 იანვარი რადიო. ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის გაზ. „დეილ გერალდის“ სიტყვით ლოიდ ჯორჯს განზრახული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა რუსეთის ცნობა აუცილებელია და საჭირო. წინასწარი ნაბიჯი იქნება ევროპისადმი კაპიტალისტურ და ფილანტროპიული რაიმე ზომების მისაღებად. შემდეგ „დეილ გერალდი“ ამტკიცებს, რომ ამერიკა და იტალია ყოველნაირად დაეხმარებიან ინგლისს. იმ შემთხვევაში თუ ევროპის სახელმწიფოები დააარსებენ კონსორციუმს იქ დაუყონებლივ

კაპიტალი შრომის სამსჯავროს წინაშე

ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოსკოვში ადგილი ჰქონდა ერთ ფრიად საგულისხმო პროცესს: ბრალდებულთა სკამზე ისხდნენ რამოდენიმე ათეული კერძო მწარმოებელი. მათ ბრალს სდებდნენ იმაში, რომ თავის დაწესებულებებში შექმნეს აღმაშფოთებელი პირობები შრომის: გაადიდეს სამუშაო დღე, რომელიც უდრიდა ხანდახან 13—15 საათს და მეტსაც; არ ერიდებოდნენ მცირე წლოვანთა ექსპლოატაციას; მუშების აყვანის დროს გვერდს უვლიდნენ შრომის ბირჟას და არ სარგებლობდნენ მით; აძევებდნენ ისეთ მუშებს, რომელთა მუშაობა დაწესებულებაში ავიწროებდა მათ თარეშს; თვით მუშაობა სწარმოებდა ფრიად ანტისანიტარულ პირობებში—ერთი სიტყვით ირღვეოდა მთელი კანონმდებლობა შრომის დაცვის შესახებ.

პოლიტიკური მნიშვნელობა პროცესის სისწორით გამოხატა საზოგადოებრივ ბრალმდებელმა ამხ. კარლ რადეკის პირით. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ კითხვა შეეხება იმას, თუ რა საზღვრამდე აძლევს გასაქანს კერძო მწარმოებლებს მშრომელთა სახელმწიფო. და მართლაც უნდა ითქვას, რომ ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება დაადგა წარსული წლის გაზაფხულიდან, თავისებურათ იქნა გაგებული მოწინააღმდეგე წრეების მიერ. მათ წარმოადგინეს, რომ სამეურნეო ინიციატივის თავისუფლება, რომელსაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრაქტიკულ გეგმებში, მოასწავებს განუსაზღვრელი ექსპლოატაციის თავისუფლებას, შრომის დაცვის ყველა კანონების ფეხქვეშ გათელვის საშუალებას და „ოფლის გამოწურვის სისტემის“ მთელი სისრულით აღდგენას. რასაკვირველია არავინ არ იტყუებდა თავს ეკონომიური პოლიტიკის შეცვლის დროს იმის შესახებ, რომ ის ურთიერთობა, რომელიც ფაქტიურათ დამყარდება ამ პოლიტიკის შედეგათ შრომისა და კაპიტალის წარმომადგენელთა შორის, არ იქნება „სათუთი“, რომ მდგომარეობას თავისი განვითარების ლოღიკა აქვს, და რომ ამ ურთიერთობაში თავს წამოჰყოფს „უკუნითი“ დავის აქტები შრომისა და კაპიტალს შორის. ცხადი იყო და არის ყველასათვის, რომ გარკვეული და—უნდა ვაღიაროთ აშკარათ—სერიოზული საფრთხე მოელის არა მარტო სპეციალურათ შრომის ყოველდღიური ინტერესების დაცვის საქმეს კაპიტალის ექსპლოატაციისაგან, არამედ საზოგადოთ მთელ მუშურ-გლეხურ საზოგადოებრივობის მშრომელთა სახელმწიფოს ურთიერთობას კაპიტალისტურ ძალთა ახალი გაფურჩქვნის გამო, რომლის შესაძლებლობა ჩაქსოვილია ახალი ეკონომიური პოლიტიკის წარმოებაში, მის მიერ შემოსილ პრაქტიკაში. მაგრამ სახელმწიფოს ხელში რჩება საკმაო საშუალებანი იძულების, უკეთესათ რომ ვთქვათ მშრომელთა ხელში არის კლასიური იძულების უძლიერესი აპარატი, თვით სახელმწიფო და ამნაირათ ექსცესები „კაპიტალიზაციის“ წააწყდებიან თავის გზაზე შესაფერ წინააღმდეგობას პროლეტარიატის და მისი პროფესიონალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციების მხრით. ეს ასეც მოხდა. ამის მაგალითს იძლევა ზემოხსენებული პროცესები. მას შემდეგ, რაც შრომის ინსპექციის ყოველმხრივმა გამოძიებამ აშკარა გახადა წამოყენებული ბრალდების საფუძვლიანობა, კლასიურმა სამსაჯულომ გამოიტანა თავისი განაჩენი და ეს განაჩენი არის [illegible] შრომის სასარგებლოთ. ერთ ჯგუფს მიუსაჯეს ექვსი თვის იძულებითი მუშაობა, ერთს 150 მილიონი მანეთის ჯარიმა პროფესიონალური კავშირის სასარგებლოთ, მეორე ჯგუფიდან 50 მილიონი მანეთის ჯარიმა თითოს, დამშეულთა სასარგებლოთ, თითო წლის იძულებითი მუშაობის შეცვლით, თუ ამ ჯარიმას არ გადაიხდიან.

ასეთი იყო ამდენხანს ჯერ კიდევ არ ნახული პროცესი, როდესაც სახელმწიფოში მშრომელთა პოლიტიკური ბატონობის დროს ბრალდებულთა სკამებზე მოხვდნენ კაპიტალის წარმომადგენლები, რომლებსაც სახალხო სამსჯავრომ მიუზღო დამსახურებისამებრ. მოხდა პირველი შეხვედრა კაპიტალისტების და მუშების, როდესაც ამ უკანასკნელთა დამცველათ გამოდის სახელმწიფო, როგორც ასეთი. და კითხვამ რომელიც ამხ. რადეკმა წამოაყენა პროცესის დაწყების პირველ დღესვე, ჰპოვა სათანადო გადაწყვეტილება. ამ პროცესის შედეგებმა „საგნური გაკვეთილი“ მისცა ყველა კაპიტალისტებს (რომლებიც მოისურვებენ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში) იმის შესახებ, რომ საბჭოთა სახელმწიფო, აძლევს რა მათ გარკვეულ პირობებში სამეურნეო შემოქმედების საშუალებას და ინიციატივის თავისუფლებას, განაგრძობს დგომას მშრომელთა არა მარტო „საბოლოო ინტერესების“, არამედ ყოველდღიურ, მიმდინარე საჭიროებათა სადარაჯოზედ, როგორც აღმასრულებელი მისი ნებისყოფის და ორგანო მისივე კლასიური ბატონობის.

ეჭვს გარეშეა, რომ როგორ ძლიერიც არ უნდა იყოს მოგების წყურვილი „ახალი“ ბურჟუაზიის, მოსკოვის პროცესი და განაჩენი სახალხო სამსაჯულოსი კერძო მწარმოებელთა წინააღმდეგ, გამაფრთხილებელი იქნება მათთვის, როგორც თვით რუსეთში, ისე ყველა საბჭოთა ქვეყნებში, ისევე კერძოთ ჩვენშიდაც. ნ.

წითელი ლაშქრის დეზერტირი უსაძაგლესი მოღალატეა მუშათა და გლეხთა დიქტატურის ინტერესებისა.

დეზერტირი—იუდა ისკარიოტელია.

ზიზღი, კრულვა და სასტიკი სასჯელი—ეს არის შენი სამუდამო ხვედრი, შერცხვენილო დეზერტირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

მოკავშირეებმა რუსეთი ოფიციალურად მიიწვიეს გენუას კონფერენციაზე. რუსეთის საბჭოთა მთავრობამ თანხმობა განაცხადა, მხოლოდ წინადადებას იძლევა კონფერენცია გაიხსნას არა გენუაში, არამედ ლონდონში.

მიიღებენ მონაწილეობას ამერიკის ფინანსისტები. რაც შეეხება იტალიას, ის დახმარებას გაუწევს სავსებით ბრიტანეთის პოლიტიკას“.

რუსეთის მიწვევა გენუას კონფერენციაზე.

ბორდო, 10 იანვარი (რადიო). კანაში იხილავენ იმ საკითხს თუ როგორი გამოთქმით შეადგინონ მომავალ გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მოსაწვევი მიმართვა. ამ საკითხს იხილავენ იმის გამო, რომ მოწვევას ერთი წინადადება უკვე გაიგზავნა და ჩიჩერინიდგან მიღებული პასუხი არ იძლევა არავითარ ცნობას იმ ვალდებულების შესახებ, რომელსაც რუსეთი მოითხოვს მის გენუის კონფერენციაში მონაწილეობის წინასწარ პირობათა სახით.

პარიზი, 10 იანვარი. საფრანგეთის რადიო იტყობინება: ჩიჩერინმა აცნობა უმაღლეს საბჭოს, რომ საბჭოთა მთავრობა იღებს წინადადებას გენუის კონფერენციაზე მიწვევის შესახებ.

რუსეთი და ევროპა

საფრანგეთი მზათ არის იცნოს საბჭოთა რუსეთი.

ლონდონი. „მანჩესტერ გარდიანი“ იტყობინება: „ამბობენ, რომ საფრანგეთი ეხლა მზად არის იცნოს საბჭოთა მთავრობა იმ პირობით, რომ მათ მიეცემათ გარანტია აღიარების შემდეგ რუსეთის მიერ თავის ეროვნულ ვალის თავის დროზე გადახდისა.

ბორდო. საფრანგეთის მთავრობის სააგენტოს რადიო იტყობინება ლოიდ-ჯორჯის გეგმას დაწვრილებით ევროპის აღდგენის შესახებ.

დაწვრილებით ასეთია: 1. ინგლისი უარს ამბობს თავის წილ ვალებზე 2. საფრანგეთს ეძლევა უპირატესობითი უფლება ანაზღაურებისა 3. გერმანიის შეიარაღებათა შეზღუდვის განხორციელებლად და საფრანგეთის უშიშროების უზრუნველ ყოფნის საკითხის გადასაწყვეტად, ლოიდ-ჯორჯი წინადადებას იძლევა დაიდოს განსაკუთრებული შეთანხმება ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა და იტალიას შორის. ამ შეთანხმებით უზრუნველყოფილ უნდა იქნას რეინის ოლქის ნეიტრალიტეტი, 4. ახლო აღმოსავლეთში ზავის ჩამოგდების შესახებ ინგლისის გეგმა ითვალისწინებს შემაღლობას სმირნაში ქრისტიანულ უმცირესობათა დაცვის საფუძველზე, სადაც უნდა დამყარდეს ისეთი რეჟიმი, როგორიც არსებობს დანციგში, 5. საბჭოთა მთავრობის მიერ ვალების ცნობის გამო და იმ სურვილებისა, რომლითაც იგი სცნობს ყველა იმ ვალდებულებებს, რომლებიც აწვა კანონიერ მთავრობებს, ბრიტანიის მთავრობა ფიქრობს, რომ აღარ არის უკვე საფუძველი უთხრან უარი საბჭოთა მთავრობის ცნობაზე, რომელსაც უკანასკნელი მოითხოვს ყველა სახელმწიფოებისაგან.

პარიზი. 30 დეკემბერი, გაზეთ „ჰუმანიტე“ სწერს „საკითხი საბჭოთა რუსეთის აღიარების შესახებ დასმულია ოფიციალურად. ეხლა უკვე გამორკვეულია, რომ პარიზსა და ლონდონს ჰქონდათ სპეციალურად მიწერა-მოწერა ამ საკითხის შესახებ, როდესაც საზოგადოებრივი აზრი იყო სრულ გაუგებრობაში. კაპიტალისტურ ქვეყნებს ეხლა მოუხდებათ, საბჭოთა მთავრობის მიერ მიღწეულ გამარჯვების გამო, იარონ ბოლომდის და აღიარონ საბჭოთა რუსეთი „არა ახდილი ჩურჩულით, არამედ განსაკუთრებულ საზეიმო აქტით. ეხლა უკვე აღარავინ არ გაუწევს ანგარიშს საფრანგეთის რუსეთისადმი მტრულ დამოკიდებულებას. უკვე დღეიდანვე შეიძლება ვიდღესასწაულოთ საბჭოების უდიდესი მორალური გამარჯვება.

—პოლ ლიული „ინტერნაციონალ“-ში სწერს „საბჭოთა მთავრობამ შესძლო დაეწყო მოლაპარაკება ცენტრალურ, ჩრდილო და სამხრეთ ევროპასთან. ეს მოლაპარაკება უკვე თავის თავად უზრუნველ ყოფს საბჭოთა რუსეთის ფაქტიურ აღიარებას. მასსები მისდევენ ამ მთავრობას და სიმტკიცით იგი არ ჩამოუვარდება არც ერთ ბურჟუაზიულ მთავრობას. „ინტერნაციონალი“ იტყობინება: ინგლისი იწონებს მოსკოვის განზრახვებს წარუდგინოს მომავალ კონფერენციაზე საფრანგეთს საწინააღმდეგო დავა, რომელიც დანაშავეა კოლჩაკის, დენიკინის და ვრანგელის დახმარებაში.

რუსეთის ღირებულებათა ფასის აწევა.

პარიზი. მილიუკოვის „პოსლედნიე ნოვოსტი“ მსხვილი ასოებით ბეჭდავს შემდეგ ცნობას: უკანასკნელ დღეების პოლიტიკური ამბები და ხმები ეკონომიური კონფერენციის შესახებ საბჭოთა რუსეთის მონაწილეობით აღინიშნა მგრძნობიარე პარიზის ბირჟის მიერ რუსეთის ღირებულებათა მკვეთრად აწევით. განსაკუთრებულ ინტერესით ეკიდებიან ნავთის ქაღალდებს, ლონდონის წყაროებიდან მიღებულ ცნობათა გამო იმ შეთანხმების შესახებ, რომელიც მიღწეულია ფინანსისტთა ჯგუფისა, ამიერ-კავკასიის ნავთის მრეწველობის აქციის საკონტროლო პაკეტის მფლობელთა შორის ერთი მხრით და კრასინისა მეორეთი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სურსათის დამზადება უკრაინაში.

მოსკოვი, 11 იანვარი (რადიო). არა სრულ ცნობებით, უკრაინაში მოკრებილია სასურსათო გადასახადი ხორბალი—მარცვალი და ფურაჟი მარცვლათ—56 მილიონი ფუთი, ზეთიანი თესლეულობა—2,962,000 ფუთი, კართოფილი—3,367,000 ფუთი. ამას გარდა დამზადებულია 5,255,000 ფუთი ხორბალი და ფურაჟი მარცვლათ, 207,000 ფუთი, ზეთიანი თესლეულობა და 101,000 ფუთი კართოფილი. ამნაირათ, სულ დამზადებულია: პური—მარცვალი მოკრებილია—61,229,000 ფუთი, ზეთიანი თესლეულობა—3,169,000 ფუთი, კარტოფილი—9,468,000 ფუთი, საქონლის გადაცვლით მოკრებილია აქამდე მხოლოდ—2,000,000 ფუთი.

სახელმწიფო ბანკის მოქმედება.

მოსკოვი, 11 იანვარი (რადიო). **განყოფილებათა გახსნა.** 1922 წლის 1 იანვრისთვის გახსნილი იყო ბანკი შემდეგი პროვინციალური განყოფილებანი: ჩრდილოეთ-დასავლეთის საოლქო ცენტრებს—პეტროგრადში 125 მილიარდი მანეთის თანხით, მოსკოვის კონტორა 155 მილიარდ მანეთის თანხით, სრულიად უკრაინის კონტორა ხარკოვში 500 მილიარდ მანეთის თანხით, სრულიად—ქალაქების განყოფილება 10 მილიარდ მანეთის თანხით. ამას გარდა, ავტონომიურმა საბჭოთა რესპუბლიკებმა საქართველომ და აზერბეიჯანმა, რომლებსაც დამოუკიდებელ ემისიის უფლება აქვთ, გახსნეს სახელმწიფო ბანკები. იანვრის განმავლობაში განზრახულია შემდეგი განყოფილებების გახსნა: კაზანისა, ფსკოვისა, სმოლენსკისა, არმავირისა, მინსკისა, ამას გარდა, მარტის ნახევრამდე განზრახულია გახსნან განყოფილებები კალუგასა, ვიატკასა ვოლოგდასა, ორენბურგსა, სამარასა, როსტოვსა, ეკატერინბურგსა, პერმსა, არხანგელსკსა, კურსკსა, ტამბოვსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა, ირკუტსკსა, გომელსა, ბაქოსა, ერევანსა, ბათომსა და ტფილისში.

პირველი ჩეკი დეიჩე-ბანკზე (გერმანულ ბანკზე). 6 იანვარს სახელმწიფო ბანკის სამმართველომ მიიღო ბერლინიდან ცნობა დეიჩე ბანკისა და დრეზდენის ბანკისგან იმის შესახებ, რომ მათ რუსეთის სახელმწიფო ბანკი თავის კორესპონდენტების სიაში ჩარიცხეს. ამავე დროს ბერლინის ბანკებმა გამოუგზავნეს თავის ჩეკის წიგნები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა საკორესპონდენტო ურთიერთობის დასამყარებლათ. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ბანკის სამმართველომ განკარგულება მისცა თავის რწმუნებულს ბერლინში, რომ მან დეიჩე ბანკის მიერ სახელმწიფო ბანკისთვის გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე შეიტანოს რამდენიმე მილიონი მარკა. სახელმწიფო ბანკმა იმავე დღეს გამოიწერა დეიჩე-ბანკიდან ჩეკით 1 ნახ. მილიონი მარკა. ამნაირად, 7 ნახ. წლით შეწყვეტის შემდეგ განახლდა პირდაპირი ურთიერთობა რუსეთისა და გერმანიის საკრედიტო დაწესებულებებს შორის.

ცენტრო-კავშირის სავაჭრო დელეგაცია.

მოსკოვი. 11 იანვარი, (რადიო). გუშინ მოსკოვიდან საზღვარ-გარეთ წავიდა სავაჭრო დელეგაცია თავმჯდომარის ლინჩუკის მეთაურობით იმ მიზნით, რომ მჭიდრო კავშირი დაამყაროს უცხოეთის კოოპერაციასთან.

წარმოების ნაყოფიერების გაძლიერება.

მოსკოვი. 11 იანვარი, (რადიო). კონსტანტინოვის შუშის ქარხანაში აამძრავეს დიდი ვანნა, რომელშიაც შესაძლებელია გადაადნონ 200,000 ფუთი შუშის მასსა. თუ მასალით და სურსათით უზრუნველყოფილი იქნება, ქარხანას შეუძლიან დაამზადოს დიდძალი შუშა უმაღლეს ხარისხისა და დააკმაყოფილოს შუშის მოთხოვნილება არა თუ მარტო უკრაინისა, არამედ ყველა ფედერატიულ რესპუბლიკებისა.

რუსეთის ეკონომიურად აღდგენა

ბერლინი, 27 დეკ. გაზეთ „ლოკალ ანცაიგერი“ იტყობინება: ბერლინში დაარსებულმა ეკონომიურმა ბიურომ აღმოსავლეთთან ვაჭრობა-მრეწველობის განსავითარებლად, დაასრულა წინასწარი მოლაპარაკება ამერიკის ბანკების გავლენიან ჯგუფებთან გერმანიის ბანკებზე 250 მილიონ დოლარის კრედიტის მიცემის საკითხის შესახებ, რომელიც მოხმარებული იქნება რუსეთის ეკონომიურად აღდგენისათვის.

ეკონომიურ ბიუროს დირექტორმა ინჟენერ მიულერმა განუცხადა „ლოკალ ანცეიგერ“-ის წარმომადგენელს შემდეგი:

უსარგებლო დიპლომატიურ კონფერენციების მაგივრად, გერმანია ამჯობინებს დასდგეს უფრო სწორ გზაზე, რომელიც განზრახული აქვს ეკონომიურ ბიუროს. ეს ბიურო წარმოადგენს საქმიან ტრესტს, რომელსაც ეკუთვნიან გერმანიის კაპიტალის, მწარმოებელთა და სხვა მსხვილ გაერთიანებათა გამოჩენილი წარმომადგენლები. ახლო მომავალში ბიურო გაგზავნის რუსეთში ექსპერტებს განსაკუთრებულ ეკონომიურ პოლიტიკურ ხელშეკრულობის დასადებად. ამერიკის კრედიტი გამოყენებული იქნება მხოლოდ რუსეთის რკინის გზის ქსელის და მაღაროების აღსადგენად. მომავალ ვალის გარანტიას კისრულობს ბიუროში მონაწილე გერმანიის მრეწველი საზოგადოება საბჭოთა მთავრობის თავდებობით.

ამხ ლენინი ამერიკის დახმარების შესახებ,

მოსკოვი, 12 დეკ (რადიო. ამხ. ლენინმა ამერიკის დახმარების შესახებ სთქვა: „მე უნდა გაცნოთ, რომ უკანასკნელ დღეებმა მოგვცა ჩვენ მნიშვნელოვანი წარჩინება შიმშილთან ბრძოლის საქმეში. ამერიკაში გადადებულია 20 მილიონი დოლარი რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად. ალბად, იმ ვე პირობებში, რომელშიდაც მუშაობს ამერიკის-რუსეთის სააგენტო. ამ დღეებში მივიღეთ ამხ. კრასინიდან დეპეშა, იმის შესახებ, რომ ამერიკის მთავრობა ფორმალურად იძლევა გარანტიის წინადადებას 3 თვის განმავლობაში ჩვენ მიერ და ამ 20 მილიონ დოლარის სურსათის და თესლის მიღების შესახებ, თუ ჩვენ ჩვენი მხრით შეგვეძლებოდა დავთანხმებოდით 10 მილიონ დოლარის დახარჯვაზე ე. ი. 20 მილიონ ოქროს მანეთისა, იმავე მიზნისათვის. ჩვენ დაუყონებლივ მივეცით ესეთი თანხმობა და ეს გადაეცათ დეპეშით. შეიძლება ითქვას, რომ პირველი 3 თვის განმავლობაში ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ სურსათით და სათესით და დამშეულ ოლქებისათვის 30 მილიონ დოლარის ე. ი. 20 მილიონ ოქროს მანეთისა. ეს რასაკვირველია, ცოტაა და ვერ დაფარავს იმ შემაძრწუნებელ უბედურებას, რომელიც თავს დაგვატყდა ჩვენ. მაგრამ ეს ყოველ შემთხვევაში დახმარებაა, რომელიც უეჭველია შეამსუბუქებს უკიდურეს გაჭირვებას და შიმშილს.

საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის

ამხ. ლენინის მოწვევა

ბორდო. 10 იანვარი. საფრანგეთის რადიო იტყობინება „საქმეში ჩახედულ გაზეთთა ცნობით, ლენინი პირადად იქნება მოწვეული გენუის მომავალ კონფერენციაზე.

რომი. 10 იანვარი. იტალიის რადიო იტყობინება: „იტალიის მთავრობას განზრახული აქვს პირადად მოიწვიოს ლენინი ევროპის აღსადგენ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც შესდგება მარტში გენუაში.

უსათუოდ უნდა იცნონ

რომი. 10 იანვარი. (რადიო. რომის გაზეთი „სტამპა“ სწერს: „რუსეთი კეთილ მეგობრულად ეპყრობა ევროპის შეთანხმებას, ამასთანავე აყენებს კატეგორიულ მოთხოვნილებას—საბჭოთა მთავრობის უსათუოდ ცნობის შესახებ.

რუსეთის აღიარებისათვის საფრანგეთის მიერ

პარიზი. 28 დეკემბერი. გაზეთ „ობსერვერი“ სწერს: ბრიტანიის ოფიციალურ წრეებში კატეგორიულად აღნიშნავენ რუსეთის უმონაწილეოდ ევროპის რეკონსტრუქციის შეუძლებლობას. პოლიტიკური კონფერენცია რუსეთსა და მოკავშირე სახელმწიფოთა შორის გულისხმობს რუსეთის აღიარებას. მზად არის კი საფრანგეთი, აღიაროს საბჭოთა ხელის უფლება. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ლენინი დაუყონებლივ მიიღებს რუსეთის ვალებს, თუ მოკავშირეები აღიარებენ რუსეთს. მოსკოვი ამტკიცებს, რომ ვალის უღელი უნდა ატაროს ორივე მხარემ. ხარჯები, რომლებიც მოუვიდა რუსეთს ორგანიზაციულ თავდასხმის შესამუსრავად, უნდა ამოწერილ იქნას რუსეთ-საფრანგეთის ვალის საერთო ჯამიდან.

გაზეთ „დეილ-ქრონიკლი“ სწერს: ევროპის დემილიტარიზაციას თავის თავად მოსდევს რუსეთის საკითხის დაბოლოვების საჭიროება. რუსეთის დაუშრეტელი საომარი ძალები იქნებიან ევროპის უშიშროების მუდმივ საფრთხედ ამისათვის საჭიროა რუსეთის კონფერენციაზე მოწვევა, რომელიც იქნება მტკიცე ქვათ ჩვენი მომავალში ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულებაში. თუ მივიღებთ ლენინის წინადადებას რუსეთის ვალების შესახებ, როგორც გამოსავალ პუნქტს მომავალ მოლაპარაკებათა მაშინ სრულიად ცხადი იქნება, რომ საფრანგეთი გონიერად არის დაინტერესებული ევროპის დამშვიდების ცდაში და თუ საფრანგეთი გადაუგდებს ამ წინადადებასაც, მაშინ ჩვენ გვეცოდინება, რომ საფრანგეთი კიდევ სხვა ნაირად ფიქრობს და ჩვენ მივიღებთ აწმყო მომენტის შესაფერის კურსს.

„მანჩესტერ გარდიანი“ სწერს: საფრანგეთს სრულიად გარკვევით მიეცემა წინადადება აღიაროს საბჭოთა მთავრობა დე-იურედ. ფიქრობენ, რომ ლოიდ ჯორჯი მზად არის დაუყონებლივ აღიაროს საბჭოთა მთავრობა, საბუთად საფრანგეთს წარუდგენენ, რომ მოსკოვის მიერ ომის წინა ვალების აღიარება იქნება ბუნებრივ შედეგად მოსკოვის მთავრობის რუსეთის კანონიერ მთავრობად აღიარებისა, რომელმაც ამასთანავე უნდა აღიაროს ნაციონალური ვალი. საფრანგეთი, როგორც ამბობენ, ეხლა უკვე მზათ არის იცნოს საბჭოთა მთავრობა. იმ პირობით, თუ მათ ექნებათ მიცემული გარანტიები გადახდისა დაუყონებლივ ამ ნაციონალურ ვალების ცნობის შემდეგ.

მადლობა ნანსენს.

მოსკოვი, 30 დეკ. სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-9 ყრილობამ მიმართა ფრიტიოფ ნანსენს შემდეგი სამადლობელი დეპეშით: „სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-9 ყრილობა გაეცნო რა თქვენ კეთილშობილურ ცდას ვოლგას მხარის დალუპვამდე მისულ გლეხობის გადასარჩენად, გიცხადებს თქვენ ღრმის მადლობას რ.ს.ფ.ს.რ. მრავალ მილიონიან მშრომელ მოსახლეობის სახელით, რუსეთის ხალხი შეინახავს თავის მეხსიერებაში სახელს დიდებულ სწავლულ კვლევარის და მოქალაქე ფ. ნანსენისას, რომელიც გმირულად უკაფავს გზას მკვდარ ჩრდილოეთს მუდმივ ყინვებში მაგრამ რომელიც აღმოჩნდა უძლური უსაზღვრო სიმკაცრის დასაძლევად, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მართველ კლასების ანგარებისა და გულქვაობისადმი.

მშრომელთა ხელის უფლების პირველ მოწოდებაზე ყოველი მუშა და გლეხი მოვალეა ჩასდგეს წითელ ლაშქრის რიგებში.

წერილები მოსკოვიდან

წერილი მესამე

3. საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მუშაობა

I

როგორც ვამბობდი უკანასკნელ წერილში, მოსკოვი ამ უკანასკნელ 5-6 თვის განმავლობაში შესამჩნევათ გამოიცვალა,—გამოიცვალა, რა თქმა უნდა, **გარეგნობით**. ჯერ ერთი მას ისეთი დაღვრემილი გამომეტყველება რომელიც ეტყობოდა და დამჩნეული ჰქონდა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, დღეს აღარ ეჩნევა: წითელი მოსკოვი გარეგნულათ მოგაგონებთ რამდენიმეთ წინანდელ, სამოქალაქო ომის დაწყებამდე არსებულ მოსკოვს. მაღაზიები ვაჭრობენ, მეეტლეების რიცხვი ერთი ორათ გაიზარდა, ტრამვაის მოძრაობა თანდათან მატულობს. განახლდა სახელმწიფო ბანკის მოქმედება, ნებადართულია ბირჟაც და სხვა და სხვ. ასე გეგონებათ, რომ წითელი მოსკოვი თითქო ისევ ძველ კალაპოტში დგება. და მართლაც ბევრს ესე გონია. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ბევრმა ისე გაიგო, რომ პროლეტარიატის დიქტატურას და საბჭოთა ხელისუფლებას ბოლო მოეღო. დაშინებული და მიმალული ჩარჩები, ვაჭარ სპეკულიანტები, წვრილი კაპიტალისტები არა თუ გამოძვრენ ჯურღმულებიდან და თანდათან იწყეს განახლება თავისი „ჩვეულებრივი ხელობის“, არამედ ისე იქცევიან, თითქო საბჭოთა ხელისუფლება აღარც კი იყოს. და უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ ვაჟბატონებს ერთხანს მართლაც ყურადღებას არ აქცევდა, მათ თითქმის სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული. ვის ეგონა, რომ გუშინდელი დათრგუნვილი ვაჭარ-მრეწველები დღეს ისე გაამაყდებოდენ, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონებს გადაჯეკნიდენ. მეორე მხრით, დიდი ყურადღების მისაქცევათ ვის სცალოდა ამ ვაჟბატონებისათვის. და აი ამათი „თვისება“ სავსებით გამოაშკარავდა: თვით მოსკოვში, საბჭოთა რუსეთის სატახტო ქალაქში ამ ვაჟბატონებმა მიჰყვეს ხელი ყოვლად უსინდისო და ცინიკურ ექსპლოატაციას ბავშვების, დედაკაცების და ხანში შესულ ადამიანების შრომისას, რაც გამოიხატა საბჭოთა ხელისუფლების შრომის კოდექსის უსირცხვილო დარღვევაში.

ეს უკვე ნამეტანი იყო და მეტი მოთმენაც შეუძლებელი. მყისვე ამუშავდენ შრომის დაცვის ორგანოები. დაუყონებლივ გამოკვლეული იქნენ მოსკოვის კერძო სავაჭროები, საყასბეები, სასადილოები, სახელოსნოები, ფაბრიკა-ქარხნები და სხვ. და სხვ. და რამდენიმე ათეული კერძო მწარმოებლები და ვაჭრები მიცემულ იქნენ სამართალში. 15 დეკემბერს გაიხსნა პროფესიონალურ კავშირთა სასახლეში **მოსკოვის ოლქის სახალხო მოსამართლეთა სესსია** კერძო მრეწველების და ვაჭრების მიერ მუშების მიმართ დანაშაულის ჩადენის გასარჩევათ. ბრალდება შეიცავდა შემდეგ პუნქტებს: 1. დაუშვებელი გრძელი სამუშაო დღე, 2. მუშების მიღება შრომის ბირჟის გარეშე, 3. დაზღვევის გადასახადის შეუტანლობა მუშებისათვის, 4. მეტათ დაბალი ხელფასი. გარდა ამისა ბრალდებაში აღნიშნულია ამ ვაჟბატონების მხრით პროფესიონალურ კავშირებისადმი სრული ზიზღი, მუშა-დელეგატების გაგდება საწარმოვო დაწესებულებებიდან და გარდა ამისა ტლანქი, ყოვლად უსირცხვილო ექსპლოატაცია მცირე წლოვანების, რომელთა მუშაობა სრულებით აკრძალულია საბჭოთა კანონმდებლობით. ამ ამბავმა ფეხზე დააყენა თითქმის მთელი მოსკოვის პროლეტარიატი, როგორც პარტიული წრეები, ისე უპარტიო მასსაც. ესაა პირველი შემთხვევა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები იჩენენ მოქმედებას სოციალისტურ რესპუბლიკის შრომის კანონების დასაცავათ და იმათ ასალაგმავათ, ვინც ამ კანონებს ურცხვათ არღვევს. ესაა პირველი **ნიშანი**, რომელსაც წითელი მოსკოვი აძლევს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს და მოუწოდებს მათ ენერგიული წინააღმდეგობის გასაწევათ იმათ წინააღმდეგ, ვისაც ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ სრულიად დაუბნია დავთარი და ქვა-გორება. დეე ყველა ის ვაჟბატონები, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას ახალ ეკონომიურ პოლიტიკას იყენებს ბოროტათ, ვისაც გონია, რომ რუსეთი ისევ უბრუნდება ძველ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წესებს, საქმით, პრაქტიკით დარწმუნდენ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ისევ მტკიცეთ დგას და ისევე მტკიცეთ იცავს შრომის ინტერესებს, როგორც კი ეს დღეს შესაძლებელია. მართალია, მან ნება დართო დროებით თავისუფალ ვაჭრობას და კერძო მწარმოებლებს საქონლის დასამზადებლათ, მაგრამ იცოდეს ყველამ, რომ პროლეტარიატი ისევ სათავეში უდგას სახელმწიფოს და მის ფხიზელ თვალს არ გამოეპარება მუშების ინტერესების შელახვა არსებულ კანონების შეუსრულებლობით. აღსანიშნავია ის, რომ კერძო კაპიტალისტების პირველ პროცესში ბრალმდებლებათ ამხ. **რადეკის** გარდა გამოვიდენ თვით მუშები პროფ. კავშირების წევრები.

მე შევაჩერე მკითხველის ყურადღება ამ პროცესზე იმ მიზნით, რომ თვით კონკრეტულ მაგალითით მეჩვენებინა მკითხველებისთვის, რომ მოსკოვი და საერთოდ მთელი რუსეთი, დღეს მხოლოდ **გარეგნულათ** გამოიცვალა, ხოლო არსებითათ ის განაგრძობს იმ მუშაობას, რომელსაც ის ამ 4 5 წლის განმავლობაში ეწევა, ე. ი. ბურჟუაზიის აღმოფხვრას ძირიანფესვიანათ, მის სამუდამოთ მოსპობას და სოციალიზმის დამყარებას. პარტიული მუშაობა ერთი მხრით და საბჭოების მუშაობა მეორე მხრით უფრო გაძლიერებული მეყაითობით და ენერგიით გრძელდება. უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა დღეს უფრო დაკვირვებული და ბევრათ უფრო შეგნებულია, ვინემ წინა ხანაში. საქმე იმაშია, რომ პირველ ხანაში ბურჟუაზიული წესების აღმოფხვრა უფრო მარტივ საქმეთ მიგვაჩნდა, ვინემ ის სინამდვილეში აღმოჩნდა. მართლაც ბურჟუაზიული სულით, ბურჟუაზიული ზნე-ჩვეულებით გაჟღენთილია როგორც კერძო ადამიანის, ისე მთელი საზოგადოების ცხოვრება; ბურჟუაზიული ჩვეულებები ხვდებიან ადამიანს დაბადებისას და თანსდევენ მას საფლავის კარამდე; ისინი გარს ახვევიან მას მუდამ ჟამ და იგი ტყვეობაში ყავთ. ახლა როგორ გნებავთ, რომ ას მილიონიანი ხალხი, საუკუნოების და ათასოვან წლების განმავლობაში მონობის, ბურჟუაზიული წესწყობილების ტყვეობაში მყოფი, ერთი დაკვრით განთავისუფლდეს ყველა ამისაგან, უარი სთქვას თავის ზნე-ჩვეულებზე, სარწმუნოებაზე, ხატებზე, ეკლესიებზე, ჯვრის წერაზე,—ერთი სიტყვით ერთბაშათ დაახწიოს თავი მთელი წარსული ისტორიის გავლენას, ე. ი. შეუგნებლისაგან გახდეს შეგნებული. ეს შეუძლებელია. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსო. ერთი სიტყვით, უვიცი, ბნელი და შეუგნებელი ხალხი ამჯობინებს შეჩვეულ ჭირს, სანამ თვით ცხოვრება, თვით პრაქტიკა არ დაარწმუნებს, არ დააჯერებს მას ამ ძველი ჭირის სიავეში და მავნებლობაში.

ამაზე შეიძლება ჩვენ შეგვეკითხონ: ეს თუ ასეა, განა უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ბოლშევიკები არ ჩარეულიყვნენ ამ საქმეში და არ აეტეხათ მთელი აღიაქოთი, ე. ი. უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ყოველივე ეს მინებებული ყოფილიყო ისტორიის მშვიდობიან, ბუნებრივ მსვლელობისათვის? მაგრამ ასე შეიძლება იმსჯელონ მხოლოდ აღმოსავლეთის ფატალიზმის ანუ ბედისწერის მომხრეებმა. ხოლო ვინც ისტორიას ცოტაოდნათ მაინც იცნობს, მან უთუოთ კარგათ იცის, რომ კაცობრიობის წარსული ისტორია ყველაზე უფრო ნაკლებათ გავს მშვიდობიან განვითარებას, პირიქით ის მეტათ შლეგვარე და მშფოთავი იყო, რომ ის დაუსრულებელი სისხლის ღვრით არის სავსე.

და გარდა ამისა, პირდაპირ სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, ბუნებრივია თუ არა ბუნებრივი რუსეთის მთელი რევოლიუცია. რევოლიუციის ასეთი დაყოფა არ არსებობს. რუსეთის უკანასკნელი (ოქტომბრის) რევოლიუცია წარმოადგენს უმწვერვალესათ გამწვავებულ ბრძოლას პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ერთი მხრით და გლეხკაცობასა და მემამულეებს შორის მეორე მხრით. პროლეტარიატმა და გლეხკაცობამ პოლიტიკურათ დაამარცხეს თავის მტრები, კაპიტალისტები და მემამულეები, გამოგლიჯეს იმათ ხელიდან სახელმწიფო ძალა-უფლება და დააწესეს რუსეთში **პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა კლასსის სახელმწიფო**, რათა სახელმწიფოს საშუალებით საბოლოოთ დაამარცხონ ისინი ეკონომიურათაც. გამოცდილება და პრაქტიკა გვეუბნებიან, რომ ბრძოლა ეკონომიურ ხიდაგზე, ე. ი. ეკონომიურათ დამარცხება ბურჟუაზიის და მემამულეების უფრო ხანგრძლივი იქნება, ვინემ იმათი პოლიტიკურათ დამარცხება. აქ საქმე გვაქვს ჯერ კიდევ მტკიცეთ შენახულ **იდეოლოგიასთან**, რომელიც წარმოიშვა უმცირესობის უმრავლესობაზე ბატონობის დროს და რომლითაც გაჟღენთილია დღესაც ხალხის დიდი უმრავლესობა. ეს იდეოლოგია დიდათ აფერხებს ძველი გაბატონებული კლასსების დაძლევას ეკონომიურათ.

და აი ყველა ამის დასაძლევათ აუცილებელი ხდება უდიადესი, კოლოსსალური მუშაობა, აუარებელი ენერგიის დახარჯვა. ვინ უნდა ითავოს ან ვინ თაობს ამ მუშაობას? რა თქმა უნდა, მხოლოდ **კომუნისტური პარტია**. და მართლაც, რუსეთში დღეს კომმუნისტური პარტია აწარმოებს იმნაირ მუშაობას, რაც კაცობრიობას ჯერ არ უნახავს ეს მუშაობა ხდება ყველა დარგში, არ არის დატოვებული სულ უბრალო სფეროც კი. ყოველგან ხდება გარდაქმნა, გადაკეთება, შეკეთება. იძებნებიან ახალი გზები, ახალი მეთოდები, ახალი წესები ხდება გადატეხა როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. მრავალი ჯგუფები, დაწესებულებები, მთელი პარტიები უწევენ ამ გარდაქმნას, ამ გადაკეთებას მედგარ და შეუპოვარ წინააღმდეგობას, რათა დაიცვან დანგრევისაგან ძველი ქვეყანა, ძველი იდეოლოგია, ძველი წყობილება. მაგრამ ბევრათ უფრო მეტ შეუპოვრობას იჩენენ ახალი ძალები, საბჭოთა ხელის-უფლების ორგანოები კომმუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წვეთი ნელ ნელა ქვას გახეთქს. ასეთ როლს თამაშობს დღეს კომმუნისტური პარტია ბურჟუაზიული ქვეყნის პირისპირ. იმ შეუპოვარ და სისტემატიურ პროპაგანდას და აგიტაციას თუ წერით, თუ სიტყვით, თუ პრაქტიკით, თუ საქმით, რომელსაც გამოუთქმელი ენერგიით ეწევა დღეს კომმუნისტური პარტია, ძველი აშმორებული და დაჟანგული ბურჟუაზიული ქვეყანა ვერ გაუძლებს. კომმუნისტური პარტიის ენერგია და მუშაობა არა თუ არ სუსტდება, არა თუ არ კლებულობს, არამედ სულ უფრო და უფრო იზრდება და მატულობს. ეს აუარება საგიტაციო და საპროპაგანდო ლიტერატურა, ეს ამოდენა პლაკატები ყოველგვარ თემაზე, რომლებითაც იფინება შეუწყვეტლივ საბჭოთა რუსეთის ვეებერთელა ტერიტორია; ეს კრებები, ეს კონფერენციები და ყრილობები, რომლებიც ზოგჯერ თავს გაბეზრებენ და მერე კი იცი, რომელ იმათგანს მიაქციო მეტი ყურადღება, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ყველანი საყურადღებო და საინტერესონი არიან! ნუ თუ ყოველივე ესე ჩაივლის, რომ არ დატოვოს თავისი წაუშლელი კვალი! [illegible] შემთხვევაში ის სისტემატიური და შეუპოვარი აგიტაცია და პროპაგანდა, ის შეუწყვეტელი ჩიჩინი თავში მჩაგვრელ და მყვლეფელ კლასსების მოსპობის შესახებ, რომელიც ხდებოდა და ხდება მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობაში, წითელ ჯარში, მუშათა და გლეხთა ფართო მასსაში, ნუ თუ ყოველივე ეს უშედეგოთ ჩაივლის? დიახ, ზოგიერთ შემთხვევაში ალაგი ექნება შეცდომებს, გადაჭარბებას და სხვ. დეე, ალაგ-ალაგ და დროებით-ერთი ზოგიერთებმა ბოროტათ გამოიყენოს თავისი მდგომარეობა, ჩაიდინონ უსინდისო მოქმედება პირადი ინტერესების გულისთვის! ყველაფერი ეს შესაძლებელია და გასაკვირველიც იქნებოდა, რომ ასეთ ანორმალობას, შეცდომებს და ვეტ-

ქრონიკა

ვ. აბაშიძის იუბილეს გამო. კვირას, 15 იანვარს, არტისტი ვასო აბაშიძის პატივსაცემლათ გამართულ საიუბილეო წარმოდგენის შემდეგ, „ქიმერიონის" რესტორანში გაიმართება ბანკეტი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ბანკეტში, უნდა წინდაწინვე ჩაეწერონ რუსთაველის თეატრის კონტორაში ა. სულიკაშვილთან 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და შეიტანონ 200,000 მან.

სახ. განათლების კომისარიატის საკანცელარიო ნივთების მაღაზია. 9 იანვარს ერევნის მოედანზე გახსნეს სახ. განათლების კომისარიატის საკანცელარიო ნივთების მაღაზია. ამ მაღაზიაში იყიდება ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები განსაკუთრებით დამზადებული სახ. განათლ. კომისარიატის სახელოსნოებში. ყოფილ სასტუმრო „ორიანტის" ბინაზე გახსნეს აგრეთვე სახ. განათლ. კომ. წიგნის მაღაზიაც.

პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის გამომხატველ ხელოვნების საავგიტაციო განყოფილებაში. წარსულ კვირის ბოლოში პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის გამომხატველ ხელოვნების საავგიტაციო განყოფილებამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის დავალებით, შეასრულა დამღლავი სამუშაო პროვინციაში საარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით. განყოფილებამ გამოუშვა 4 ლიტოგრაფიული პლაკატი პატარა სიდიდისა ლოზუნგებით, 2 დიდი მრავალ სურათიანი პლაკატი ფურცლებით, მოსკოვში გამოცემულების მსგავსათ, და 1 ლიტოგრაფიული პლაკატი. ამას გარდა დაასურათა ამ კამპანიისთვის სპეციალურათ გამოცემული ერთდღიური გაზეთი. გამომხატველ ხელოვნების საავგიტაციო განყოფილება ამ ჟამათ ამზადებს მხატვრულ დროშას, რომელსაც სრულიად საქართველოს კომპარტიის ყრილობა უძღვნის სამხედრო სკოლას. ამ დროშას ამზადებენ მხატვარ შარლემანის ესკიზის თანახმათ. დაასრულეს და დადგეს ზედ წარწერა საქართველოს კომპარტიის ცეკას შენობაზე. „გამომხ. ხელოვნების-საავგიტაციო განყოფილების ყოფილ თანამშრომელთაგან და თბილისის სხვა მხატვრებისაგან შემდგარს თავისუფალ მხატვრულ კოლექტივს სახ. განათლების კომისარიატმა ბინა მისცა პუშკინის პასსაჟში. იქ დაბინავდება კოლექტივის სამმართველო და მიიღებენ შეკვეთებს. აქვე მოთავსებულ იქნება კოლექტივის სამხატვრო სახელოსნოც, კოლექტივის განცხადება—ასოების დამწერი განყოფილება რჩება წინანდელ ბინაზე, ბაზრის ქუჩა № 18.

„მიწის მუშა". გამოვიდა გაზეთ მიწის მუშის მეოთხე ნომერი შემდეგი შინაარსით: ხელი-ხელს მივცეთ, მშრომელნო (მეთაური), შრომისა და ტვირთ-ზიდვის შემოღება—ს. გოდაბრელიძე. ამხ. ბუდუ მდივანის სიტყვა მოსკოვის ყრილობაზე, დასურათებული. რევ. ტრიბუნალები—გ. ვაშაძე. პატარა ფელეტონი—ს. თ—ია. ვის არა აქვს უფლება საბჭოთა არჩევნებში—სურათები, ვის აქვს უფლება საბჭოებში არჩევის—სურათი, ლექსი: სიმღერა შემოქმედებისა—ნ. ზომლეთელი, სიმდიდრეს მოხმარა უნდა, ნურას უკაცრავათ, ჩვენი სასოფლო მეურნეობა, როგორ იბრძოდენ მონები თავისუფლებისათვის და სხვ.

განათლების მუშაკთა ყრილობის გადადება. ვინაიდან განათლების მუშაკთა კავშირის ყრილობა (15 იანვ. 1922 წ.) ხდება მაშინ, როცა თბილისში მოწვეულია სხვა ყრილობაც (პარტიული და სხვა), რაიც იწვევს საშინელ ბინის კრიზისს და სხვა მრავალ ტეხნიკურ დაბრკოლებას—განათლების მუშაკთა კავშირის ყრილობა დროებით გადადებულია.

საბავშო დღესასწაულები. წარსულ კვირაში სკოლებში და ბავშვთა სახლებში გაიმართა ბავშვთა მთელი რიგი დღესასწაულები. ბავშვებმა მიიღეს აქტიურად ცოცხალი მონაწილეობა ამ დღესასწაულთა გამართვაში და ჩატარებაში. ისინი კითხულობდენ თავის საკუთარ რეფერატებს, თამაშობდენ სცენებს, კითხულობდენ საკუთარ ლექსებს, მღეროდენ და სხვა. დღესასწაული იწყებოდა ინტერნაციონალის მღერით. ბავშვთა განწყობილება იყო მტკიცე და ხალისიანი.

შობის ხე ბავშვებისთვის. 5 იანვარს სახ. განათლების კომისარიატში გაიმართა შობის ხე კომისარიატის მოსამსახურეთა და ამავე კომისარიატთან მიწერილ ობოლ ბავშვებისთვის. ბავშვებს დაურიგეს საჭმელი და ტკბილეული და გაუმართეს წაუგებელი ლატერეია საჩუქრების; უმცროსმა ბავშვებმა მიიღეს სათამაშოები, სასკოლო საკანცელარიო ნივთები, ტანისამოსები და სხვა.

მცირე წლოვანთა შრომა. შრომის ინსპექტორების სხდომაზე 5 იანვარს მცირე წლოვანთა შრომის შესახებ დადგენილია: ყველა მცირე წლოვანები 14 წლისაზე ქვევით, უნდა მოხსნან მუშაობიდან.

დისციპლინარული სასამართლო. პარასკევს, იანვრის 13 საღამოს 5 საათზე, ჯანმრთელობის კომისარიატის ბინაზე შესდგება ამხანაგური დისციპლინარული სასამართლოს სხდომა შესახებ ექ. მეგრაპიანცის საქმისა, რომელსაც ჰბრალდება თანამდებობრივი ბოროტმოქმედება, და პირველ სამშობიარო სახლის, დიასახლისის, ამხ. ხუციევისა, უსამართლოდ დათხოვნა სამსახურიდან. სხდომა საჯაროა.

თეატრი და ხელოვნება

რუსთაველის თეატრი.

ამ მახლობელ დღეებისათვის საქართველოს აკადემიური დრამა ამზადებს დასადგმელათ გრიგოლ რობაქიძის ახალ პიესას „ლონდას". პიესა უხვათ იქნება დასურათებული მუსიკით. ამ პიესისთვის იწერება ახალი დეკორაციები და ამზადებენ კოსტიუმებს. პიესას სდგამს ა. წუწუნავა.

დღეს თეატრებში:

სახელმწიფო ოპერა—ბალეტი: 1) ცხენოსან ჯარის დასვენება, 2) დივერტისმენტი. **რუსთაველის თეატრი**—სომხური წარმოდგენა. **მცირე თეატრი**—დილის—საბავშვო წარმოდგენა „ცელქი სტეფანე", საღამოს—სომხური წარმოდგენა. **რევოლიუციონურ-მხატვრული თეატრი**—რახილის გოდება. **სახალხო სახლი**—სევილიელი დალაქი. **საკამერო თეატრი**—პირველათ „მებადის ძაღლი". **მუშათა ცენტრალური კლუბი**—ქართული წარმოდგენა. **ც. მ. კ. ახალი თეატრი**—კინო. **საქართველოს წითელ არმიის ცენტრალური კლუბი**—ქართული წარმოდგენა. **კონსერვატორია**—კონცერტი. **ცირკი**—მრავალნაირი პროგრამა.

კინო-თეატრები:

მინიონი—მისი აღმატებულება, **აპოლო**—ჟიუდექსის მე-3 სერია, **ალკარე**—ქალის შურისძიება. **სარკის კინო**—ერთი დამცირების ისტორია.

სასურსათო გადასახადის გარშემო.

(სასურსათო კომისარიატის სტატისტიკო-საფინანსო განყოფილებისაგან)

სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობით, 10 იანვრისთვის, კამპანიის დაწყებიდან მოკრებილია:

სასურსათო გადასახადი.

ხორბალი 5649 ფ. 35-ნახ. გ., ქერი 2716 ფ. 3 გ., სიმინდი 1731 ფ. 31 გ., ფეტვი 43 ფ. 20 გ., შვრია 25 ნახევ. გ., კარტოფილი 5356 ფ. 39-ნახევ., ხახვი 296 ფ., ქარხალი 309 ფ. 17-ნახ. გ., ლობიო 134 ფ. 35-ნახ. გირ., ვაშლი—226 ფ. 10 გ., მსხალი 3 ფ. 30 გ., გოგრა 50 ფუთი 19-ნახ. გ., ხორცი 168 ფ. 13 გ., ერბო 45 ფ. 32 და მეოთხედი გ., ყველი 117 ფ. 22 და მერვედი გ.

საფქვავზე გადასახადი

(მარცვლად და ფქვილად):

ხორბალი 356 ფ. 11 გ., ქერი 261 ფ. 26 გ., სიმინდი 166 ფ. 33 გ.

საქონლის გადაცვლით დამზადებულია 1 იანვრიდან 8 იანვრამდე 1521 ფ. 19 გ. სიმინდი.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს 3 იანვრის სხდომაზე განხილული იყო მნიშვნელოვან საკითხების მთელი რიგი.

ექსპორტი რუსეთში.

გადაწყვეტილია შესდგეს განსაკუთრებული კომისია ამხ. სვანიძის, ვირაპის და ერქომაიშვილის შემადგენლობით, რომელსაც უნდა მიენდოს რუსეთში ექსპორტის საკითხის გადაწყვეტა.

სურსათის გატანის აკრძალვა.

დამტკიცებულია საზღვარ გარეთ სურსათ-სანოვაგის გატანის აკრძალვის შესახებ დადგენილების პროექტი.

საფონდო კომისიის მოხსენება.

მოისმინეს რა საფონდო კომისიის მოხსენება შექმნილ მდგომარეობაზე სასურსათო კომისარიატის ხარჯზე მჭამელთა რიცხვის გადიდებასთან დაკავშირებით, დაადგინეს: დადასტურდეს წინანდელი დადგენილება საფონდო კომისიაზე ემისიის 50 პროც. გადაცემა და წინადადება მიეცეს ფინანსთა კომისარს დაიწყოს ამ თანხის გაცემა პირველ იანვრიდან; მოეთხოვოს ფინანსთა კომისარს გააკეთოს მოხსენება სახელმწიფო გადასახადების შემოსვლის შესახებ; გამოიძებნოს თანხა 200 მილიარდი მანეთი, რომელიც საჭიროა სასურსათო კომისარიატის ხარჯზე გადმოსულ მჭამლების ხარჯების დასაფარავად და წინადადება მიეცეს ფინანსთა კომისარს იხელმძღვანელოს რუსეთის ბიუჯეტის ძირითად კანონებით (ომამდე არსებულ მანეთებით) და სასწრაფოდ შეადგინოს რესპუბლიკის მტკიცე ბიუჯეტი.

ფონდის განაწილება.

ფონდის განაწილების საკითხის შესახებ უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატებს დაუყონებლივ გადასცენ საფონდო კომისიის განკარგულებაში ყოველ გვარი ფართოდ მოსახმარი საგნები, როგორიც არიან: მანუფაქტურა, ფეხსაცმელები, და სხვ. ამასთან საფონდო კომისიის დაუკითხავად საგნების დახარჯვა არ შეიძლება, წინადადება მიეცეს საფონდო კომისიას დაუყონებლივ მიიღოს ზომები საწყობებში არსებულ საქონლის აღსარიცხავად. ამ დადგენილებაში განმარტებულია, რომ ეს გადაწყვეტილება არ ეხება იმ წარმოებებს, რომლებიც გადავიდენ სამეურნეო ანგარიშზე.

უწყლო მიწების მორწყვა.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა და მოიწონა სარწყავ განყოფილების მიერ შედგენილი პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვები შემდეგი სამუშაოებისა. მიმდინარე წელს განზრახულია შემდეგი სამუშაოები სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ მიწების მოსარწყავათ: 1) სარწყავ არხის გაყვანა 7 ვერსტის სიგძეზე—სადგურ მათხოჯთან ქუთაისის მაზრაში, 2) ისეთივე არხის გაყვანა შლიუზებით და ხიდებით 2,003 დესეტინის მოსარწყავათ სოფ. ქვიტირთან, მაღლაკთან და ფარცხ-ნაყანევთან ქუთაისის მაზრაში, 3) 1,500 დესეტინის მორწყვა შორაპნის მაზრაში სოფ. ხოხულის უბანთან, ყვირილას ახლო, 4) 1500 დესეტინის მორწყვა სოფელ დიმთან, ჯაპიტიან და ბაღდადთან ქუთაისის მაზრაში, 5) 10 დესეტინის მორწყვა სოფ. გეგუთთან, ოფშკვითთან, საყულიასთან და სხვებთან იმავ მაზრაში, 6) 2500 დეს. მორწყვა სოფ. კულაშთან და 10 დეს. სოფ. ვანი-ტობანიერს ახლო იმავ მაზრაში, 7) 14 600 დესეტინის მორწყვა არხის გაყვანის საშუალებით გორის მაზრაში, 8) 3 დესეტინის მორწყვა სოფ. ქარელთან და სკრასთან იმავ მაზრაში, 9) 2000 დესეტინის მორწყვა სოფ. დოესი-გრაკალთან იმავ მაზრაში, 10) 2500 დესეტინის მორწყვა სოფ. სვირს ახლო ქუთაისის მაზრაში, 11) 7600 დესეტინის მორწყვა დოღლაურის ველში გორის მაზრაში, 12) 2 000 დესეტინის მორწყვა სოფ. ხოვლეს ახლო, გორის მაზრაში, 13) 200,000 დესეტინის მორწყვა მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს, 14) გამოკვლევა ყარაიაზის მამულის მორწყვის თაობაზე, 15 გამოკვლევა და პროექტის შედგენა 15,000 დესეტინის მორწყვის შესახებ, სოფ. ბანძა და აბაშასთან ახალ სენაკის მაზრაში და 16) წყალთა სადენის გამართვა ბორჩალოს მაზრაში.

სარწყავ განყოფილებას განზრახვა ჰქონდა წელსვე შესდგომოდა ფოთის ჭაობების გაშრობას, მდინარე ინგურის ნაპირების გამაგრებას და დამატებით გამოკვლევას ტირიფონის ველზე 4500 დესეტინის მორწყვის შესახებ, მაგრამ რადგან ამ სამუშაოებს დიდ ძალი ფული სჭირდებოდა, სახელმწიფო შენობათა კომიტეტის კოლეგიამ საჭიროთ სცნო ამ უკანასკნელ სამუშაოთა გადადება იმ პირობით, რომ ისინი აუცილებლათ შეტანილ იქნან 1923 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

ბორჯომ ბაკურიანის რკინის გზის შეკეთება.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტმა განიხილა რა ამ დღეებში ბორჯომ ბაკურიანის რკინის გზის გაუმჯობესების საკითხი, საჭიროდ აღიარა ამ გზის შეკეთება. დაადგინა იშუამდგომლოს ს. მ. უ. ს. 2 მილიონ მანეთის მიცემის შესახებ, ამ შეკეთებისათვის საჭირო ჯამის ანგარიშიდან.

წყალსადენის მოწყობა სოფ. მცხეთაში.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტმა აღიარა რა სასურველად სოფ. მცხეთაში წყალ სადენის საჩქაროდ მოწყობა, ამ სოფლის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, წინადადება მისცა გიდრო აღმშენებლობას დაუყონებლივ შეუდგეს სათანადო გამოკვლევებს და გამოარკვიოს იქ სოფ. ძეგვიდან წყლის გაყვანის შესაძლებლობა.

სათბობი მასალა.

1921 წლ. 9—31 დეკემბრის განმავლობაში სოგუტ ბულაღში დაიტვირთა შეშით 44 ვაგონი—ამათაგან 10 სამხედრო საინჟინერო დისტანციისათვის—2 სროლელ პოლკის—22 მთავარ საინჟინერო სამმართველოს 5-საოჯახო ნაწილის და 5 ტყის კომიტეტის სახელზე.

მცხეთაში—25 ვაგ. ტრამვაის სახელზე.

ნატანებში—36 ვაგონი ბათომის საინჟინერო დისტანციის სახელზე.

მილეთში—15 ვაგონი ტყის კომიტეტის სახელზე.

წიფაში—18 ვაგონი რომელთაგან ერთი ჯანმრთელობის განყოფილების და 17 ტყის კომიტეტის სახელზე ტფილისში.

სუმბათოვოში—16 ვაგონი—5 თბილისის სახელმწიფო მოსამსახურეთათვის და 11 საქართველოს რევკომის სახელზე.

[illegible]—42 ვაგონი, 36 თბილისში ტყის კომიტეტის სახელზე—2 ქუთაისის რკინის გზელთა კავშირის და 4 ქუთაისის რევკომის სახელზე.

ჯუმათში 75 ვაგონი—ტყის კომიტეტის სახელზე თბილისში და ფოთი—ქალადიდში 25 ვაგონი ტყის კომიტეტის სახელზე.

საქართველოს და აბხაზეთის ნავთსადგურებში.

მუშაობა ყველა ნავთსადგურებში მოწესრიგებულია და ამ ჟამათ გემების შეკეთებასა და ნავთსადგურის აღმშენებლობაზე მუშაობენ. ახლო ხანებში მიწის ამოწმენდას შეუდგებიან ფოთის ნავთსადგურში. სანავთსადგურო გადასახადების შემოღების შემდეგ ნავთ-სადგურების შემოსავალი გადიდდა. ასე, ბათომის ნავთსადგურმა ოქტომბერ—დეკემბერში მიიღო 4 მილიარდ მანეთამდე. სოხუმის ნავთსადგურის შემოსავალი უკანასკნელ თვეში ავიდა 200 მილიონამდე. შავიქვის გატანა ფოთიდან მოწესრიგებულია და დატვირთვისა და განტვირთვის საქმე ფოთის ნავთსადგურში ჯეროვან სიმაღლეზე დგას. განსაკუთრებით მუშების ხელით ნავთსადგურში შეიძლება განიტვირთონ 60 ათასი ფუთი დღეში. პურის ტვირთის მიღებისა და შავიქვის გატანის გამო ნავთსადგური შესამჩნევათ გამოცოცხლდა.

ცვით პ[illegible] ბ[illegible]-მოქმედებასაც ადგილი [illegible] ქონებოდა ისეთი უდიდესი რევოლიუციონური გარდატეხის, რომელთაც დღეს ხდება რუსეთში. მაგრამ ყველაფერი ეს ილესება და იკარგება იმ დიდებით და [illegible] ფაქტებში, რომლებიც ჩვენ გარშემო ხდებიან. საერთო ძალის, ერთობის და თანასწორობის იდეები ითესებიან არა ქვიშიან ნიადაგზე, არამედ ნოყიერ ნიადაგზე, და ისინი ჩქარა გამოიღებენ ნაყოფს. ამასთან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ **რუსეთის რევოლიუცია—ეს მსოფლიო რევოლიუციაა**, და თუ გინდათ მისი საფუძვლიანათ შესწავლა, ის უნდა შევისწავლოთ უწინარეს ყოვლისა უშუალოთ მოსკოვში და პეტერბურგში რუსეთის კომუნისტური პარტიის მაგალითზე.

II

რა პირობებში ხდება კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დიდებითი და შემოქმედებითი მუშაობა რუსეთში? ჩვენ გარშემო არსებობს არა მარტო უკიდურესი სიღატაკე, არა მარტო უზომო გაჭირვება, არამედ, და რაც ბევრათ უფრო უარესია, ეს ის, რომ ხალხის მასსა — გლეხკაცობა — გონებრივათ დგას ჯერ კიდევ უმდაბლეს საფეხურზე, იგი ჯერ კიდევ პირველყოფილ ველურ მდგომარეობაში იმყოფება; მასთან ვერ მიდის ვერც წიგნი, ვერც გაზეთი, იგი შეპყრობილი სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნოებით და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება სხვერპლი თავისი სიბრიყვის და უცოდინარობის. მეფეები, მემამულეები და კაპიტალისტები განგებ ამყოფებდენ ხალხს ასეთ მდგომარეობაში, ვინაიდან ამას მოითხოვდა იმათი ინტერესები. თავის თავათ იგულისხმება, რომ ასეთ პირობებში ფერხდება და მეტის მეტათ ძნელდება კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყოველივე მუშაობა. აქედან აშკარაა, რომ უწინარეს ყოვლისა ამ მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო; უნდა შეტანილ იქნას ხალხში სწავლა-განათლება, ცოდნა, უნდა მოისპოს წერა-კითხვის უცოდინარობა, სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნოებანი. მარა რა გზით, რა საშუალებით? რა თქმა უნდა, მარტო მზამზარეული, გაზეპირებული ფორმულებ, პროგრამები რჩევა-დარიგებანი აქ არ გამოგვადგებათ, ასეთი საშუალებით აქ ვერას გახდებით, ასეთი ფორმულებით და ლოზუნგებით შორს ვერ წავალთ. უნდა ვილონოთ, რომ კომუნიზმის ლოზუნგები გადავაქციოთ ცოცხალ, ნამდვილ საქმეთ, თვალსაჩინო მაგალითათ, უამისოთ ჩვენ ვერ მივალთ ხალხთან, ვერ დავეუფლებით მას, და, მაშასადამე, ვერ დავიმსახურებთ მის სრულ ნდობას. გარდა ამისა, ხალხთან დასაახლოვებლათ და მისი ნდობის დასამსახურებლათ საჭიროა მეტათ მოქნილი ტაქტიკა, საჭიროა ანგარიშის გაწევა მისი შეხედულებებისათვის, უნდა საქმით, გამოცდილებით, პრაქტიკით დავარწმუნოთ იგი ბურჟუაზიული წესების, კერძო საკუთრების და კარჩაკეტილი წარმოების უვარგისობაში და აგრეთვე სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნოებათა მავნებლობაში. არავითარ ძალდატანებას, არავითარ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს გლეხ კაცის რწმენის შეურაცხობა ან დაცინვა, აქ ალაგი არ უნდა ექნეს, ყოველივე ამას შეუძლია უფრო გაამწვავოს საქმე, გამოიწვიოს სულ წინააღმდეგი შედეგი, ე. ი. კიდევ უფრო შორს გადატყორცნოს ჩვენგან გლეხკაცობა. ჩვენ ხელი არ უნდა ვახლოთ მის რწმენას, მის ზნე-ჩვეულებებს. ჩვენ უნდა მივსცეთ მას მხოლოდ ცოდნა. უჩვენოთ მაგალითი. ვასწავლოთ ანბანი. მივსცეთ ხელში ადვილათ გასაგები წიგნი ან გაზეთი, სადაც მას შეეძლოს ამოკითხვა ისეთი რამეების, რაც მისთვის საჭიროა. მის თვალწინ ხდება ხომ ახალი, სოციალისტური წესწყობილების აშენება. საჭიროა, რომ მუშამ და გლეხმა გაიგონ, შეიგნონ ეს ახალი წესწყობილება, რა თქმა უნდა, არა გარეგანი ძალდატანებით, არამედ ცოცხალი გამოცდილებით და თვალსაჩინო მაგალითით.

დღეს ყველამ იცის, რომ რუსეთის კომუნისტური პარტია აშენებს სწორედ ამ ახალ სოციალისტურ საზოგადოებას. და აქვე გულახდილათ უნდა გამოვამჟღავნოთ ის, რომ ამ შენების, ამ მუშაობის დროს ბევრ და ხშირად დიდ შეცდომებს აქვს ალაგი და ამას ცნობენ თვით კომუნისტური პარტიის უპირველესი ბელადები. ის აუცილებელია, ვინაიდან ეს საქმე პირველათ მთელ კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ დაიწყო. მაგრამ შეცდომებთან ერთათ არის უდიდესი შემოქმედება, არის ვეებერთელა, გიგანტისებური ნაბიჯები წინ, აღმოჩენა სრულიად ახალი გზების, ახალი საშუალებების სოციალიზმის განსახორციელებლათ.

რა სფერო, რა დარგი, რა საკითხიც არ უნდა აიღოთ, ყოველგან თქვენ ხედავთ ახალ გზას, ახალ საშუალებას, ახალ მიდგომას, ახალ შეხედულებას. აიღეთ **ომის და ზავის** საკითხები, რომლებიც ასე აწუხებენ დღეს მთელ კაცობრიობას და რომელთა გადაჭრის დროს ასეთ ღრმა წინააღმდეგობებში დაიბნენ უკიდურესათ გამოზრძნილნი ბურჟუაზიული მთავრობები თავიანთი ვერსალის ხელშეკრულებებით და თავიანთი კონფერენციებით ლონდონში, ბრიუსელში, ვაშინგტონში. აიღეთ **ეროვნული საკითხი**, რომლის ირგვლივ არსებობს ამოდენა პირმოთნეობა, ფარისევლობა, ფლიდობა, დატყუილება, სიცრუე, რაშიაც ჩაფლულნი არიან ყველა ბურჟუაზიული დიპლომატები, მწერლები, პუბლიცისტები, ბურჟუაზიულ პარტიების მეთაურები,—და თვით საკითხი კი გახვეულია სქელ ბურუსში. რაღა უნდა ითქვას **კლასობრივ ბრძოლაზე და სამოქალაქო ომზე**: აქ სიყალბეს, სიცრუეს და დატყუილებას ხომ საზღვარი არა აქვს! ახლა აიღეთ **მუშურ-გლეხური დემოკრატიის და პროლეტარული რევოლიუციის** საკითხები: პირველი **ინტერნაციონალის და მარქსის და ენგელსის** ნაწერების შემდეგ რუსეთის კომუნისტური პარტიის პირველხარისხოვანმა ბელადებმა, განსაკუთრებით **ლენინმა**, პირველათ [illegible] ეს საკითხები და პირველათ ჩამოგლიჯეს მას ის ოპპორტუნისტულ-რევიზიონისტურ-რეფორმისტული საბურველი, რომელშიაც ისინი იყვნენ გახვეული მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლების მიერ. ყოველივე სიცრუეს, ყოველივე დამახინჯებას, რაც ყველა ამ კითხების შესახებ გამოიჩინეს მემარჯვენე სოციალისტებმა, სამუდამოთ მოეღო ბოლო.—

ბრძოლა ეკონომიური დარღვევის და განადგურების წინააღმდეგ იმ ჯოჯოხეთურ პირობებში, რომლებშიაც იმყოფებოდა საბჭოთა რუსეთი უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში. ბრძოლა ხალხის სიღატაკე გაჭირვებასთან სიცივესთან, სიმშილთან, ხალხის გონებრივ სიბნელესთან, გაუნათლებლობასთან, უკულტურობასთან,—ამ ბრძოლის მეთოდები და საშუალებანი,—ყოველივეს სრულიად უნახავი, უმაგალითონია მსოფლიო ისტორიაში. ორგანიზაცია **წითელი ჯარის და მსოფლიო ბურჟუაზიის დამარცხება** ომის ასპარეზზე,—ეს ხომ პირდაპირ სასწაულთა-სასწაულია კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებაში. ვინ ამბობს, რომ ყველა ამაში არ იყო დაშვებული შეცდომები, არ იყო გადაჭარბება და სხვა, მაგრამ აშკარაა რომ ამ შეცდომების თავიდან აცილება ისტორიულად შეუძლებელი იყო, განა შესაძლებელი იყო ისე წინსწვლა, ახალი გზების აღმოჩენა და გაკვალვა? ათიათასები, ასიათასები და მილიონი ხალხი იღებს აქტიურ მონაწილეობას ამ მუშაობაში, და შემოქმედებაში, ახალი ცხოვრების გაჭედვაში. დღე ისე არ გაივლის, რომ დედამიწის ყველა კუთხიდან საბჭოთა რუსეთს არ ესტუმრონ მუშათა კლასის წარმომადგენლები ათობით და ასობით მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს გასაცნობათ და შესასწავლად ყველა ისინი ადევნებენ თვალყურს პროლეტარიატის შემოქმედებით მუშაობას, რუსეთის მუშათა კლასის გამოცდილებაზე სწავლობენ სოციალისტური წესწყობილების აშენებას. ნურავის ჰგონია, რომ ისინი ფიქრობენ პირდაპირ გადაიღებან იმისას, რაც საბჭოთა რუსეთში ხდება, სრულებითაც არა: აქ ხდება დინჯი და სერიოზული დაფასება, აწონ-დაწონვა და კრიტიკა როგორც სხვა და სხვა ისტორიულ ეთნიურ-კულტურული პირობები სხვა და სხვა ქვეყნებში, ისე სხვა და სხვა იქნება იქ წვრილმანებში მეთოდები და წესები სოციალისტური წარმოების და სოციალისტური წესწყობილების დამყარებისა. რა თქმა უნდა, არსებითი **ძირითადი პირობა—პროლეტარიატის დიქტატურა** — ყველასათვის, ყველა სახელმწიფოსა და ყველა ქვეყნისთვის აუცილებელი და სავალდებულოა. დანარჩენში **შაბლონის** გამეორება არა თუ არაა **აუცილებელი და სავალდებულო**, არამედ მას ზიანის მოტანაც შეუძლია. ვისაც არ შეუგნია ეს ანბანური, ელემენტალური ჭეშმარიტება, იმას არ შეუძლია თვით **საბჭოთა ხელისუფლების**, თვით **პროლეტარიატის დიქტატურის** არსებითი მხარე.

საბჭოთა რუსეთში დღეს მრავალი სასწავლებელი, მრავალი სკოლაა (სოციალისტური აკადემიები, კომუნისტური უნივერსიტეტები, უმაღლესი პარტიული სკოლები და სხვ.), სადაც ასწავლიან როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულადაც სოციალისტურ აღმშენებლობას. მაგრამ აღმშენებლობის შესწავლა შეიძლება დღეს რუსეთის მთელ სივრცეზე, მთელი ფედერატიული სოციალისტური საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს ერთ უდიდეს **სოციალისტურ სკოლას, სოციალისტურ აკადემიას** ერთი მხრით და საცდელ, **ექსპერიმენტალურ ინსტიტუტს**, მეორე მხრით, სადაც ერთი მხრით სოციალიზმის უდიდესი თეორეტიკოსები, მეორე მხრით პრაქტიკები, სპეციალისტები და მცოდნე პირები აჩქარებული ტემპით და შეუჩერებლივ მუშაობენ და აწარმოებენ გადასვლას ბურჟუაზიიდან სოციალიზმზე. ჩვენ ოდნავადაც არ ვიტყუილებთ თავს იმის შესახებ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ერთად სოციალიზმში არ ვცხოვრობთ, მაგრამ დღეს იცოდეს ყველამ, რომ ჯერ ერთი ის, რომ სოციალიზმის ელემენტები უკვე ახლაც საკმარისად არსებობენ; მეორე ის, რომ ეს ელემენტები თანდათან მრავლდებიან და მატულობენ და მესამეც ის, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გადატეხა იმდენად ძლიერი და სერიოზულია, რომ უკან ბურჟუაზიისაკენ დაბრუნება საბჭოთა რესპუბლიკებში ყოვლად წარმოუდგენელია. თავის თავად იგულისხმება, რომ გზა სოციალიზმისაკენ ია ვარდით არაა მოფენილი, პირიქით, გადასვლა სოციალიზმზე შეადგენს მთელ ეპოქას, მთელ პერიოდს, რომელიც გულისხმობს **უმწვავეს და უუსასტიკეს ბრძოლას გახრწნის გზაზე შემდგარ ბურჟუაზიას და აღორძინებულ პროლეტარიატს შორის**.

ამნაირად, აშკარაა, რომ დედამიწის ზურგზე არაა დღეს საბჭოთა რუსეთის გარდა მეორე ქვეყანა, რომელიც მეტი ყურადღების და მეტი ინტერესის ღირსი იყოს და ყველა ის უდიდესი იდეალების ძმობაზე, სოლიდარობაზე და თანასწორობაზე, რომლებზედაც ოდესმე ოცნებობდენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები საუკუნოების და ათასოვან წლების განმავლობაში, საბჭოთა რუსეთში პირველად პოულობენ თავის განხორციელებას. მონობის და დაქირავებული შრომის რკინის ჯაჭვი აქ პირველად იქნა დამსხვრეული, რითაც მყვიდრი საფუძველი ჩაეყარა ერთი ადამიანის მეორე ადამიანის მიერ ყვლეფის საბოლოვოდ მოსასპობად. ამას კარგათ ხედავენ როგორც დაუძინებელი მტრები რუსეთის პროლეტარიატისა —ყველა ქვეყნის ბურჟუა-კაპიტალისტები, ისე მისი ერთგული თანამოძმენი, მეგობრები და ამხანაგები მშრომელი მასსები—მთელ დედამიწაზე. პირველთ სწყურიათ მისი **დანგრევა-დაქცევა**, მეორე კი **მისი აყვავება აღორძინება**. მაგრამ რუსეთის პროლეტარიატი კი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის მოწინავე რაზმების დახმარებით და მონაწილეობით მტკიცე რწმენით და გაასკეცებული ენერგიით განაგრძობს იმ საქმის კეთებას, რომელიც მან პირველად იკისრა.

საქართველოს მუშებო და გლეხებო! კარგად ისწავლეთ, კარგად შეიგნეთ ის გაკვეთილი, რომელსაც იძლევა რუსეთის სოციალისტური პროლეტარიატი. მხოლოდ მაშინ შესძლებთ თქვენ ღირსეულად გამოიყენოთ რუსეთის პროლეტარიატის უდიდესი გამოცდილება.

ფ. მახარაძე.

მოსკოვი, 20 დეკ. 1921 წ.

ბიბლიოთეკა

საქართველოს შრომის განყოფილებების გამგეთა პირველი ყრილობა

(19 დეკემბრის სხდომა, 1921 წ.)

ამხ. მიქაძის მოხსენება

საქართველოს საბჭოს ხელისუფლება მაშინ დამყარდა, როდესაც რუსეთში სამოქალაქო ომი უკვე დამთავრებული იყო. ამ გარემოებამ, ცხადია, საშუალება მოგვცა დამშვიდებით გვეწარმოებინა აღმშენებლობითი მუშაობა. უმთავრესი ხაზი დღევანდელი პოლიტიკისა სრულიად ახალია. და ჩვენი პირველი ყრილობაც მაშინაა მოწვეული, როდესაც უკვე გამორკვეულია ჩვენი მომავალი პოლიტიკა.

ამ ახალ კონიუქტურაში ჩვენ, როგორც შრომის მომწესრიგებელ სახელმწიფოებრივ ორგანოს, დიდი მოვალეობა და საქმე გვაწევს. მთელი ჩვენი ძალღონე, ენერგია, ცოდნა, გამოცდილება დაუზოგველად უნდა მოვახმაროთ შრომის მტკიცე ორგანიზაციათა შექმნას, რომ ამით ხელი შევუწყოთ ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ აღორძინებას.

შრომის სახალხო კომისარიატი დღევანდელს პირობებში ისეთი სამეურნეო ორგანოა, ურომლისოდ მრეწველობა და მეურნეობა რესპუბლიკაში სასურველად ვერ მოეწყობა, ვერ განვითარდება, ვერ გაიზრდება.

დღეს ჩვენი უწყების აპარატის მოწყობა, მის ფუნქციათა გამომუშავება მრავალ ცვლილებათა შემდეგ, უკვე დამთავრებულ საქმედ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ უკვე გავემიჯნეთ პროფესიონალურ კავშირებს, ერთმანეთში დავინაწილეთ მუშაობის ფუნქციები და ნათლად, მკვეთრად განვსაზღვრეთ ჩვენი მომავალ მუშაობის სფერო მუშა ხელის და შრომის ორგანიზაციის მხრივ. ამ ხანად ჩვენი სადღეისო მუშაობა გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებს დროიანად მივაწოდოთ მათთვის საჭირო მუშა ხელი და ამით ხელი გაუმართოთ ჩვენი მრეწველობის და საერთო ეკონომიკის გაჯანსაღებას და განვითარებას.

ამავე დროს, რაკი დღევანდელს ეკონომიურ კონიუქტურაში სახელმწიფოს მიერ დაკანონებულია კერძო წარმოების არსებობა, აუცილებლივ საჭიროა საბჭოთა შრომის ორგანომ იკისროს კერძო მწარმოებელთა და მუშათა შორის საშუამავლო ფუნქციები და ყოველთვის ახსოვდეს, რომ ის არის მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დარაჯი.

როდესაც ჩვენ შევუდექით მუშაობას, ჩვენ დაგვხვდა შრომის ორგანო სამინისტროს სახელწოდებით. ის იყო შრომის დარგში უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელსაც ევალებოდა „დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშათა პოლიტიკის წარმოება". ამ სამინისტრომ მთელი არსებობის განმავლობაში მუშაობა გამოხატა შრომის და კაპიტალის შერიგებაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ვინაიდან თვით ყოფილ მთავრობის ძირითადი ხაზი მიმართული იყო ექსპლოატატორთა და მშრომელთა შორის შეთანხმება—შერიგებისაკენ. და რაკი ასეთ შემარიგებელ პოლიტიკას აწარმოებდა, მან ვერ შესძლო შრომის ორგანიზაციაში ნამდვილი მონაწილეობა მიეღო და შრომის საკითხები მუშათა ინტერესების სასარგებლოდ გადაეწყვიტა. მაგალითად, მუშათა კანონმდებლობის დარგში მან ვერც-ერთი ყურადსაღები აქტი ვერ გამოაქვეყნა, თუ რა მივიღებთ მხედველობაში შრომის ხელშეკრულების კანონს, რომლის გამოცემას საპროფესიო ორგანიზაციები სასტიკი პროტესტით შეხვდნენ. ვინაიდან ამ კანონით უფრო უარესდებოდა მუშათა უფლებრივი მდგომარეობა და ფეხქვეშ ითელებოდა თავისუფალ ორგანიზაციების უფლებანი, შრომის სამინისტროს ერთად-ერთი დანიშნულება კი—შექმნა მუშათა კანონდებლობისა—სრულებით მიუღწეველი და შეუსრულებელი დარჩა.

მუშათა ხელფასი, მისი ტარიფი სამინისტრომ თავისთან გადაიტანა და მუშათა ორგანიზაციების თაოსნობა ამ საქმეში სრულებით ჩამოაცილა, რის შედეგათ იყო ის, რომ, მუშის ხელფასი 8 პროცენტამდე დაეცა. შრომის სამინისტროს კომპეტენციაში იყო აგრეთვე საკონფლიქტო საქმიანობაც. მართალია, პროფესიონალურ კავშირებში თითქოს იყო ჩანასახი საკონფლიქტო ორგანოსი, მაგრამ, იქაც არსებითად შეზღუდული იყო მუშის უფლება და ჩაკლული მისი თაოსნობა, ვინაიდან სამომრიგებლო კამერა, რომელიც ამ საქმეს განაგებდა, მოწყობილი იყო პარიტეტულ საფუძველზე და მის თავმჯდომარეთ ირიცხებოდა ნეიტრალური პირი, შრომის სამინისტრისაგან დანიშნული.

მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფა და დაზღვევა შრომის სამინისტროს არსებობის დროს; მხოლოდ 8000 მუშა იყო დაზღვეული ეგრეთ-წოდებულ სავადმყოფო კასაში, რომლის შენახვის ხარჯი თვით მუშებს ჰქონდათ დაკისრებული.

აი ასეთი სამინისტრო დაგვხვდა ჩვენ.

საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების დამყარების დღიდანვე ყოფილი ყვითელი პროფესიონალური კავშირები ჩვენ გარდავქმენით ნამდვილ მუშათა ორგანიზაციებად და მოვაწყეთ ისინი წარმოების პრინციპის მიხედვით. ამგვარად შექმნილმა მუშათა ორგანიზაციებმა გამოჰყვეს სახელმწიფოებრივი ხელის-უფლების ორგანო, შრომის სახალხო კომისარიატად წოდებული, რომელიც არის მუშათა კავშირების ნებისყოფის გამომხატველი, მის იდეიათა ცხოვრებაში გამტარებელი.

რა თქმა უნდა, კომისარიატსა და პროფესიონალურ კავშირთა შორის ფუნქციათა განაწილება ერთბაშად შეუძლებელი საქმე იყო და ამიტომ დღემდე სწარმოებდა უმტკივნეულო და თანდათანობითი გამიჯვნის პროცესი. სატარიფო საქმე ჩვენ მაშინათვე გამოვყავით და გადავეცით პროფესიონალურ კავშირებს წინედ თუ მუშათა ტარიფიკაცია, მისი მუშაობის ხელფასის დაწესება მხოლოდ და მარტო შრომის სამინისტროს უფლებას შეადგენდა, ხოლო მუშათა ამ საქმეში მონაწილეობა სრულიად არ ჩანდა,—დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მთელი ეს საქმე გადაეცა საპროფესიო ორგანიზაციებს.

ჩვენი მუშაობის განმავლობაში ჩვენ შევსძელით პროფესიონალურ ორგანიზაციებისათვის გადაგვეცა აგრეთვე მეორე დიდი საქმეც,—კონფლიქტების გარჩევა. ნაცვლად წინანდელ პარიტეტულ ორგანოსი, ჩვენ ყოველ საწარმოო კავშირთან შევქმენით კოლეგიალური ორგანო, ცალ-კერძო პრინციპის მიხედვით, ე. ი. მარტო მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით. და ამრიგად ჩვენ გავზარდეთ მუშათა ორგანიზაციების მნიშვნელობა და გავლენა შრომისა და კაპიტალის შორის აღმოცენებულ კონფლიქტების გადაწყვეტა-გარკვევაში. ამ საქმეში შრომის სახალხო კომისარიატის მონაწილეობა მეტად მინიმალური და განსაზღვრულია, იგი მარტო კასაციის წესით არჩევს იმ საქმეთ, რომელთაც საბოლოო გადაწყვეტა ვერ ხერხდება პროფესიონალურ კავშირებში ანდა კავშირთა საბჭოსთან არსებულ ნორმის მოწესრიგების განყოფილების საკონფლიქტო კოლეგიაში.

შრომის სახალხო კომისარიატმა ფართოდ დააყენა და შეძლებისამებრ მოაგვარა კიდეც მუშათა და მოსამსახურეთა სოციალისტური უზრუნველყოფისა და დაზღვევის საქმეც. სოციალური უზრუნველყოფა, რომელიც შრომის სამინისტროს ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენდა, ჩვენ მარტშივე გადავეცით სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ხოლო სოციალური დაზღვევა მუშა-მოსამსახურეებისა ჩვენ ფართო მასშტაბით მოვაწყვეთ. ნაცვლად წინანდელ სავადმყოფო კასისა, სადაც წევრებად 8000-იოდე მუშა ირიცხებოდა, ჩვენ დავაარსეთ ქალაქ ტფილისში ცენტრალური დამზღვევი კასა და რესპუბლიკის თვალსაჩინო პუნქტებში მეორე ხარისხოვანი დამზღვევი კასები ამ კასის მონაწილეებად დღეს ირიცხება მთელი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეები, როგორც სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში ჩაბმულნი, ისე კერძო დაწესებულება-წარმოებებში და მათი რიცხვი ასი ათას აღემატება. აგრეთვე განსხვავდება მენშევიკურ სავადმყოფო კასისაგან დღევანდელი დამზღვევი კასა თავის ბიუჯეტით: მუშა-მოსამსახურე დღეს არავითარ ხარჯს არ ეწევა კასის რესურსების შექმნისათვის და მისი შენახვის ტვირთი მთლად აწევთ მწარმოებელთ, რომელნიც მოვალენი არიან ყოველთვიურად შეიტანონ კასის სალაროში 10 პროცენტიანი გადასახადი.

ფართოდ მოვაწყვეთ ჩვენ აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვაც. თვითეულ წარმოება-დაწესებულებაში მოწყობილია შრომის დაცვის წრეები. („იაჩეიკა").

თითქმის ყველა მაზრაში და თვალსაჩინო საწარმოო პუნქტებში დავაარსეთ შრომის ინსპექციები: შრომის დაცვისა, სანიტარიისა და ტეხნიკის, ხოლო თვით ცენტრში დავარსეთ შრომის დაცვის განყოფილება. რადიკალურად დავაყენეთ ქალთა და მოზარდა მუშაობა, რომელთა წესიერ მოხმარებას სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში თვალყურს ადევნებს შრომის ინსპექტორი. ამ დარგში და საერთოდ მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვის საქმეში ჩვენმა კომისარიატმა გამოსცა მრავალი კანონი და სავალდებულო დადგენილებანი შრომის მოგვარებისათვის და მშრომელთა ინტერესების სანიტარულ-ჰიგიენურ და ტეხნიკურ უვნებლობის უზრუნველსაყოფად. პირველ დეკემბრიდან შრომის დაცვის განყოფილება და შრომის ინსპექციები პროვინციებში გადავეცით პროფესიონალურ კავშირებს, მათი სახელმწიფოებრივ ფუნქციების შენახვით.

(შემდეგი იქნება)

* * *

პარტიული ცხოვრება

თბილისის მეორე რაიონში

(დეკემბრის განმავლობაში)

საანგარიშო ხანაში რაიკომმა თავისი უმთავრესი ყურადღება მიაქცია პირველი საარჩევნო კომპანიის ჩატარებას მუშათა დეპუტატების საბჭოში, მეორე—კამპანიის და არჩევნების ჩატარებას მუშათა ფართე კონფერენციაზე და მესამე—უხსნიდა მუშათა ფართე მასსას სატარიფო პოლიტიკას, ამიერ-კავკასიის ფედერატიულად გაერთიანებას და საფინანსო პოლიტიკას.

საანგარიშო ხანაში მოხდა 7 სხდომა რაიკომის ბიუროსი, 3 პლენარული სხდომა რაიკომისა, 3 საზოგადო კრება რაიონისა, 1 კრება დელეგატებისა, 3 თათბირი უჯრედების მდივნებისა. ყველა იმ საკითხებიდან, რომლებიც განიხილეს ამ სხდომებზე, —40 პროცენტი მოდის პარტიულ აღმშენებლობაზე, 20 პროცენტი ხვდება საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა განმარტებას, 25 პროცენტი —პროფესიონალურ სამეურნეო საკითხებს, 10 პროცენტი—კულტურულ განათლების და საბინაო საკითხებს და საერთოთ მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას.

ფაბრიკა ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტებში და საადმინისტრაციო თანამდებობებზე მუშაობს 117 პარტიული ამხანაგი, რაც შეადგენს რაიონულ ორგანიზაციის ყველა წევრებისა და კანდიდატების ერთს მესამედზე მეტს.

საორგანიზაციო-საინსტრუქტორო სფეროში:

1. გამოკვლეულ იქმნენ რაიონის ყველა უჯრედები, მოახდინეს უჯრედების მდივნების ხელახალი არჩევნები; იმ უჯრედებში, რომლებშიაც ითვლება 20-ზე მეტი ამხანაგი, აირჩიეს უჯრედების ბიუროები.

2. ყველა უჯრედებში აირჩიეს დელეგატები დელეგატთა კრებაზე და გამოყვეს: ა) ახალგაზრდობის ორგანიზატორი, ბ) მუშა ქალთა ორგანიზატორი, გ) კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ხელმძღვანელი. დ) წარმომადგენელი რ. კ. დახმარების უჯრედში. და კიდევ სხვა მუშაკნი.

ამნაირათ, ორგანიზაციების ყველა წევრები და კანდიდატები ჩაბმულნი არიან პარტიულ მუშაობაში და ყოველ მათგანი ანგარიშს აძლევს რაიკომის ბიუროს.

გადავდივართ რა უჯრედების დახასიათებაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათში მუშაობა შესამჩნევათ გაძლიერდა და ამ ჟამათ აღარაა ისეთი უჯრედი რაიონში, რომელმაც არ იცოდეს თავისი ფუნქციები, რაც შენიშნული იყო წინათ.

რაიონში სულ ითვლება 28 უჯრედი, რომლებსაც ჰქონდათ 64 სხდომა.

გამოიკვლიეს წარმოებანი, სადაც არაა უჯრედები, და ადგენენ იქ თანამგრძნობთა უჯრედების ორგანიზაციის გეგმას, რაც რაიკომის აზრით მეტათ აუცილებელია.

საგიტაციო საპროპაგანდო სფეროში, რაიონის კომიტეტმა საანგარიშო თვეში შეასრულა ცენტრის ყველა დავალებანი. სულ ყველა წარმოებებში მოახდინეს 127 კრება. დიდის აღფრთოვანებით ჩაატარეს მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნის კამპანია, ამიერ-კავკასიის მშრომელთა სოლიდარობის დღე, არჩევნები რაიონის მუშათა ფართო კონფერენციაზე. წარმოებებში აკეთებდნენ მოხსენებებს: ახალ სატარიფო პოლიტიკაზე, საფინანსო პოლიტიკაზე, კოოპერაციაზე, ომის წინა დროის ვალების ცნობაზე და სხვა...

მუშათა ფართე მასსის თანაგრძნობა აუცილებლათ საბჭოთა ხელისუფლების მხარესაა, რაც დამტკიცდა მუშათა პირველ ფართე კონფერენციის სხდომებზე, სადაც დელეგატების სამი მეოთხედს შეადგენდნენ უპარტიო მუშები, მაინც კომუნისტების რეზოლიუციები მიიღეს ერთხმათ ყველა საკითხებზე.

რაიონში ორ კვირაში ერთხელ ახდენენ მუშა ქალთა დელეგატთა კრებებს. რაიკომმა გამოიმუშავა წარმოებაში სისტემატიურ განსაზღვრულ დღეებში მოქმედების გეგმა. რაიკომმა შეიმუშავა აგრეთვე უჯრედებში მეცადინეობის პროგრამა. ამ საუბრების პირველი ნაწილი ამ პროგრამით უკვე ჩაატარეს. ჩაატარეს აგრეთვე ამხანაგების მობილიზაცია პარტიულ სკოლაში, რომელიც ამ დღეებში უნდა გაიხსნას რაიონში ის ამხანაგები, რომლებმაც დაასრულეს პარტიული სკოლა პირველ ორ გამოშვების დროს, მომეტებულ ნაწილით გამოყენებულ იქმნენ. რაიკომმა ყველა არსებული მომზადებული ძალები მიუჩინა უჯრედებს, რამაც უკვე მოიტანა დადებითი შედეგები. რაიკომის ბინაზე სამკითხველოს მოწყობაც მოახერხეს. უნდა ხაზი გაესვას, რომ რაიონის ბიბლიოთეკა მეტათ სუსტადაა მომარაგებული.

ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის მუშაობის ხელმძღვანელობის სფეროში რაიონში დამყარებულია მჭიდრო კავშირი:

1. იმართება რაიონის საზოგადო კრებები.
2. მოწესრიგებულია კავშირი საურთიერთო წარმომადგენლობის საშუალებით ადგილებზე უჯრედებში).
3. მოწყობილია პოლიტიკური წრე, სადაც ლექციებს და საუბრებს მართავენ პარტიული ამხანაგები.
4. ხორციელდება კონტროლი კომ. ახალგ. კავშირის რაიკომის მოქმედებაზე წარმომადგენლის საშუალებით რაიკომის სხდომებზე. ადგილებზე, წარმოებებში პარტიის რაიკომმა გამოყო ახალგაზრდობის ორგანიზატორები, რომლებიც მუშაობენ კომ. ახალგ. კავშირის რაიკომთან სრულის კონტაქტით.

მუშა ქალთა ორგანიზატორების მუშაობაში დღემდე ვერ დაამყარეს განსაზღვრული სისტემა. მაგრამ ეხლა რაიკომმა გადასწყვიტა ეს მუშაობა იცნას დამკრავათ და გამოიმუშავოს მათ შორის მუშაობის გეგმა.

* * *

წარმოებით პროფკავშირებში

აღმშენებელნი და ხის დამმუშავებელნი.

აღმშენებელთა და ხის დამმუშავებელთა შეერთებულ კავშირის მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს ანგარიში კავშირის მოქმედების შესახებ აბხაზეთში. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა: რადგან ხის დამმუშავებელთა პროფკავშირის მუშაობა აბხაზეთში აქამდე სუსტი და გამოურკვეველია და იქ არ არსებობს აღმშენებელთა კავშირი, გაიგზავნოს აბხაზეთში არა უგვიანეს 20 იანვრისა ამხ. ბოგდანოვი, რომელსაც მიენდო აღმშენებელთა და ხის დამმუშავებელთა კავშირების მოწყობა.

ფუნქციების განაწილება.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კოლეგიის საკლუბო განყოფილებამ მოისმინა რა საკითხი განყოფილების მაგარ შტატებისა და კოლეგიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ, დაადგინა ასე გაანაწილოს მუშაობა: საკლუბო-სალექციო ქვე-განყოფილების გამგეობა მიენდოს ამხ. ესენს და რეიმანს იმ პირობით, რომ ამხ. ესენი იკისრებს იდეურ ხელმძღვანელობას, ხოლო ამხ. რეიმანი საორგანიზაციო-საადმინისტრაციო ნაწილს. პროფტეხნიკურ განათლების და მუშათა ფაკულტეტის სექციის გამგეობა მიენდოს ამხ. ედელსონს და პრეობრაჟენსკის, დასასრულ, სოციალურ აღზრდის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის განყოფილების გამგეობა მიენდო ამხ. სეროფიანს.

ავლაბრის კლუბი.

მიიღო რა მხედველობაში, რომ ავლაბრის კლუბი უფრო თეატრია, ვიდრე კლუბი და რომ შეუძლებელია მისი მიწერა რომელსამე კავშირზე, საქ. პ. კ. ს. საკლუბო განყოფილებამ დაადგინა—ავლაბრის კლუბი დროებით ჩაითვალოს ს. პ. კ. ს. გამგებლობაში და მოელაპარაკოს ამ კლუბის შესახებ მე-3 რაიკომს.

საკლუბო განყოფილების წარმომადგენლობა.

მოისმინა რა საკითხი ცენტრალურ საკლუბო საბჭოზე, რომელსაც აარსებს პოლიტიკურ განათლების მთავარი მმართველობა, ს. პ. კ. ს. საკლუბო განყოფილების კოლეგიამ დაადგინა იყოლიონ ამ საბჭოში თავისი წარმომადგენელი. ხოლო საზოგადო საკითხი საკლუბო საბჭოში სხვადასხვა დაწესებულების — კლუბების, პროფკავშირების მუშათა ცენტრალურ კლუბის, პოლიტიკურ განათლების კომისარიატის კოლეგიის და სხვათა წარმომადგენლების შესახებ დასმულ იქმნას ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმში.

სამკითხველოები

ს. პ. კ. ს. საკლუბო განყოფილებამ დაადგინა ყურადღება მიაქციოს სამკითხველოებს იმ მხრივ, რომ მათ მეტი გაზეთი მიიღონ და რომ პროფკავშირების წევრებს შეღავათიანი პირობებით შეეძლოთ სამკითხველოებში სიარული.

ელექტრიკ-კურსანტები.

ცენტრალურ გამგეობის ს. კ. მ., ს. პ. კ. ს, წარმომადგენელის, განათლების კომისარიატსს, ს. ს. ს. კომ. მეურ. კოლეგიის, ელექტრიკების ადგილ. კომის. კურსანტების ადგილკომ. და კურსების ხელმძღვანელთა გაერთიანებულ კრებაზე მოისმინეს კურსანტების დაკმაყოფილების საკითხი და მათი კომუნალურ მეურნეობის გამგებლობაში გადაყვანისა.

პირველ საკითხის შესახებ გამოტანილ იქნა დადგენილება, ეთხოვოს კომუნ. მეურნეობ. კოლეგიას მისცეს სესხად განათლების კომისარიატს 17 მილიონი მანეთი კურსანტების 1922 წლის 1 იანვრამდი დასაკმაყოფილებლად, იმ პირობით, რომ ეს სესხი გადახდილ იქნება განათლების კომისარიატის მიერ ფულის ნიშნების მიღებისათანავე.

შემდეგ კრებამ საჭიროდ სცნო კურსების არსებობა დაადგინა. ეთხოვოს კურსანტების შენახვა კომუნალურ მეურნეობის ხარჯზე, რომლის კოლეგიასაც წინადადება მიეცა გამოიღოს კურსანტების შესანახად საჭირო ჯამი.

დაბოლოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 5-საგან შემდგარ კომისიის არჩევისა, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები: ც. ს. ს. კომუნ. მეურ., განათლების კომისარიატიდან, ელექტრიკების ადგილ. კომის. და კავშირიდან, სადაც უნდა შევიდნენ ამხ. გობეჩია, ბაქრაძე, ბირიუკოვი, სერგეევი და აფანასიევი. კომისიას დაევალა საჩქარო წესით შეადგინოს ხარჯთ აღრიცხვა და გამოიმუშაოს გეგმა პრაქტიკულ მუშაობისათვის.

შრომის ნორმის და წარმოების საორგანიზაციო განყოფილება.

ს. პ. კ. ს. შრომის ნორმის და წარმოების საორგანიზაციო განყოფილებამ გადასწყვიტა მოაწყოს 4 ქვეგანყოფილება: 1) წარმოების საორგანიზაციო და ხელფასისა; 2) საკონტროლო-საინსპექციო; 3) საფონდო და 4) სეკრეტარიატი.

კოოპერატიული სასადილო.

პოლიგრაფიული წარმოებათა მუშების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა მიიღოს ზომები კოოპერატიულ ნიადაგზე სასადილოს გასახსნელად წევრების ჩაწერათ.

მოსადილეთა რაოდენობის გამრავლებამდე სასადილოს შტატი უნდა იყოს მინიმალური. სხვათა შორის, ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ და მუშ. კოოპ. დადგენილია აღიძრას საკითხი იმის შესახებ, რომ ეს რაწესებულებანი დაეხმარონ კავშირს სასადილოს გახსნის საქმეში და სურსათის ნისიად მიწოდებაში.

* * *

ბიბლიოგრაფია

„ცისფერი ყანწების" გაზეთი „ბარრიკადი", № 4.

მრავალ საუკუნეთა ცვენაში, მიუხედავათ იმისა, პოეზია იყო ქართველი ერის საწინდარი და იმდენათ ორგანიული ნაწილი მისი სულის, რომ ლექსების ძნა საუკეთესო მზითი იყო რჩეულ სარძლოსი, ისტორიას ახსოვს უნიჭო პოეტები, რომელთა შორის განირჩევა თეიმურაზი თავის „ხილთაქებით".

მაგრამ ამგვარ, ნერონისებურ ნიუანსებს ჩვენ ვხედავთ უახლოეს წლებში, რომელიც უნიჭობა კი არ არის, არამედ პოეტობისათვის ზვიადობა და ამავე მიზნით კარიერისათვის ფოკუსი.

მინდა ვიყო გულახდილი და კილოს გარეშე, რაც მავალებს აღვნიშნო, რომ ხსენებული ავადობა დაიწყო „ცისფერი ყანწებით". საქართველოს გააცვნეს თავი საავანსო პრეტენზიებით და ხელგაშლილი აგიტაციით, რომელსაც დღესაც თავდადებით აწევიან ყანწელები, როგორც გერმანეთის ხოტბით, ისე თავიანთ თავზე ფანდიანი ამეტყველებით. „ბარიკადის" 4 ნომერი, რომელიც გამოვიდა შობის მეორე დღეს ახმაურებულია ხსენებულ მიზნისათვის, პირველი სვეტი დაკავებული აქვს „ცისფერი ყანწების" დეკლარაციას, რომელიც უფრო ნუსხაა მათი „საქმენი საგმირონის" და თავდება ღვარძლიანი „ბიბლიოგრაფიით". „მეორე წერილი" თუ მიხვდებიან თავიანთ მისამართზე უფრო დაწერილი და ჩვენ მხოლოდ ურჩევთ: პოეტობით „იარმურკაზე" ვაჭრობას თავი დაანებონ. შემდეგი წერილი „დახვეწილი ნაოჭი" საცოდაობაა, და უნდა ითქვას რომ, „ყანწელებს" ყავთ დაგეშილი ფინიები, რომელნიც მხოლოდ მათი სახელის ხსენების იქით ვერ იხედებიან. მართალია არსენიშვილი უფრო ყარამანიანს გავს, ვიდრე ხსენებულ ცხოველს, მაგრამ ის როგორც მწერალი ასე გვეჩვენება. პირველ ხანებში ჩვენ გვეგონა მას ექნებოდა საკუთარი თქმა, თავის ხედვა, მაგრამ „სამწუხროდ" ის პირწავარდნილი განმეორებაა იმ ყანწელ მწერლების, რომელნიც ასე ხშირად სწერენ თავიანთ თავზე დისერტაციას, მისი წერილი შეხმაა „ყანწელების" და ისიც გაცვეთილი ფრაზებით.

ვალერიან გაფრინდაშვილის წერილი სანდრო ცირეკიძეზე მეტად გაზვიადებულია და საპნის ბუშტივით გაბერილი.

რაც შეეხება ფელეტონს სუსტია:

პაოლო იაშვილი სამი წელიწადია ა წაგვიკითხავს ახალი ლექსით. ეს პაუზა ბევრის მაჩვენებელია, მაგრა ჩვენ ვფიქრობდით, რომ „ბუღ ხარი" მაინც იტყოდა უჩვეულოს მისი ლექსი რობაქიძეზე ნაჯახირევია. არის ზოგი მოხდენილი თქმა რაც ვერ შველის ლექსს იხსნას და მარცხებისაგან და მისი ამდენი ხნი დუმილი გაამართლოს. ვალერიან გაფრინდაშვილი შემთხვევით ღალატობ ოფელიას და ცდილობს დაიბი სამანს, თუმცა ამ ლექსითაც ამტკიცებს, რომ ის არის ღირსეული მემკვიდრე აზორდიასი. „პოეტის კარიერა" მხოლოდ ბუტაფორიაა და პოეტის ბედის პირდაპირი დასახელებ ყველა პოეტს აქვს თავისი ხვედრ და გაფრინდაშვილის რეცეპტი ა შემთხვევაში მხოლოდ „ყანწელებს" თუ გამოადგება.

გრიგოლ რობაქიძის „ალლას" გულწრფელი ატირებაა, და არ ჩან „გრძნობის განწირვა ლექსისათვის" „ცისფერ ყანწელებს" ბევრი „დენში ჩკი" ყავს, მაგრამ გოგლა ლეონიძ მალე მიიღო უნტერ ოფიცრობ თუმცა „საყანწო" მას მხოლოდ ორ ლექსი აქვს: „ავტოპორტრეტი" დ „სახრჩობელადან", უკანასკნელი ლექსი კი ბევრათ მდარეა მეორეზე. ა ლექსში არის ცდა სიმსუქნის დ ჯიშიანობის, მაგრამ იმდენათ უშწე რომ გეკარგება ხალისი ლექსი ბოლ მდის წაიკითხო აგრეთვე ლექს უფრო აუფერულებს რითმებით ნახმარ ლექსიკონებში საძებარი სიტყვები.

„მალაილი—დირიჟორი" კ. ნადირაძესი მძიმე ლოდივით და ავტორი სითბოს მოკლებული. შალვა აფხაიძ ზე ითქმის: „შეც ნახარ ნახირო". მ წ შვილის ლექსი ინტიმურ გაგებამდ მიდის და ჭეშმარიტათ „ჩიბის" სა ტერესო გამოტირილია. ტიციან ტაბ ძე წარმოდგენილია: „ლექსიდან ცხ ნი ანგელოსით", მას აქვს თავის რკალი „ქალდეია" თუმცა ჯე კიდევ ამ სახელის იქით ვერ იხ დება. „ცხენი ანგელოსით" ა ნიშნულ რკალის გარეშეა, მაგრა ისიც მხოლოდ სათაურამდის დადი არის ცდა ირონიის. გაფრინდაშვ ლის თარგმანი ბლოკის („კლეოპა რა") ცივია, ლექსს აკლია ორიგინ ლის ტემპერამენტი და სირბილე.

საერთოდ „ბარიკადი" გადამღერ ბულია და მის ფურცლებს საკმეველ სუნი უდის.

რაჟდენ გვეტაძ

სარედაქციო კოლეგია.

სახელმწიფო გამომცემლობის ცენტრალური ექსპედიცია

აცხადებს პროვინციის ხელისმომწერთა (რევკომების, პარტკომებისა კერძო აგენტების) საყურადღებოთ, რომ ამა წ. 20 იანვრიდან გაზეთებ გზავნა შეუწყდება ყველას, ვინც არ წარმოადგენს ცნობებს, რამდენი ცალ ამა თუ იმ გაზეთისა საჭიროა მათთვის, ან არ წარმოადგენს განცხადებ ძველი ნორმის დატოვების შესახებ.

სახელმწიფო გამომცემლობა სთხოვს რევკომებს და პარტკომებს, რა დაუყოვნებლივ იქმნეს წარმოდგენილი აგენტთა თანამდებობებზე მისაღება შესაფერი საიმედო პირები.

ცნობები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, ლ რის-მელიქოვის ქუჩა № 5, სახელმწიფო გამომცემლობას.

სახელმწიფო გამომცემლობის ცენტრალური ექსპედიცია.

ტირაჟი 10,000 გ. ს. 1
საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, რუსთაველის ქ. № 4